დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ინა ბიწაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

წევრები:

- ტარიელ სივსივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- მინდია მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ია გაგნიძე (უცხო ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლამარა დარახველიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ელიზა ბაგალიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

- მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნინო ვაშალომიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	222727967

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ადიგენი
იურიდიული მისამართი	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი მოხე
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი მოხე
საფოსტო ინდექსი	0307
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Mokhe@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591411102

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გრძანება MES 7 23 0000913806 21.07.2023 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	04 – 05 სექტემბერი, 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური I – VI კლასი	ქართული	სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი მოხე
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური VII – IX კლასი	ქართული	სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი მოხე
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური X – XII კლასი	ქართული	სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი მოხე

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის შეფასების პროცესში ყველა ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული. დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ექსპერტების მიერ სკოლიდან შესაბამის ვადებში გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის ნაწილი სკოლამ ადგილზე ვიზიტისას დაგვახვედრა.

ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სკოლის შენობის ერთი კორპუსი ახალი აშენებულია, ნაწილი კი რეაბილიტირებულია 2020 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. სამუშაოების შემსრულებელი შპს „რებილდი“. 07.07.2020 წ. მერიასთან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში კარგად ჩანს, რომ მაშინვე არსებობდა ხარვეზები, რომელთა აღმოსაფხვრელად შპს-ს მიეცა 365 დღე. ჩვენთვის უცნობია რამდენად აღმოიფხვრა ხარვეზები ამ პერიოდში. ფაქტია, რომ ვიზიტის დროს სახურავი დაზიანებული დაგვხვდა, მესამე სართულზე რამდენიმე ადგილზე ჩამოსულია წყალი. სარეაბილიტაციოა ჭერი. ერთი საკლასო ოთახის ჭერი მესამე სართულზე დეფორმირებულია და საფრთხის შემცველ გარემოს ქმნის. ასევე დაზიანებულია სკოლის ცენტრალური შესასვლელი კიბისა და პანდუსის სახურავი, რომელიც ნაწილობრივ ჩამოვარდნილია და, რა თქმა უნდა, საფრთხეს წარმოადგენს, რის გამოც ადგილზე მისულ ექსპერტთა გადაწყვეტილებით ჩაიკეტა ცენტრალური კარი და სკოლა ალტერნატიული შესასვლელით სარგებლობს.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში სკოლამ გამოავლინა თანამშრომლობის კულტურა. სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს საკუთარი უფლება- მოვალეობანი. სასკოლო საზოგადოება მზადაა განვითარებისათვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა ინტეგრირებული პროექტებისა და გაკვეთილების ჩატარებას. ამ მხრივ საინტერესოა პროექტ გაკვეთილი ქართულში, ისტორიასა და სამოქალაქო განათლებაში, რომელიც უკავშირდებოდა გენდერულ თანასწორობას. ქალისა და მამაკაცის ჰარმონიული თანაცხოვრებით შექმნილ პოზიტიურ გარემოს ოჯახში. ასევე აღსანიშნავია სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრის ინტეგრირებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა შეისწავლეს ძველი ქართული სიმღერები და საკრავები კუთხეების მიხედვით, გაეცვნენ ტრადიციებს, ძველ ქართულ სამოსსა და უძველეს სპორტის სახეობას - ქართულ ჭიდაობას. გააცოცხლეს გუდიაშვილის ნამუშევრები ჭიდაობის სცენებით და გაეცვნენ რევაზ ლაღიძის ,,საჭიდაოს.“ პროექტმა სასკოლო საზოგადოებაში დიდი მოწონება დაიმსახურა და გაჩნდა მოტივაცია მსგავსი ინტეგრირებისა სხვადასხვა კათედრის მიმართულებით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი ...		.....
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შექმნას სკოლის ხედვის ამსახველი დოკუმენტი 2023 წლის 29 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შექმნას სკოლის ხედვის ამსახველი დოკუმენტი 2023 წლის 29 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ხედვის დოკუმენტის შემუშავება და გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში 2023 წლის 29 დეკემბრამდე.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტის საჯაროობა უზრუნველყოს 2023 წლის 29 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	სკოლამ წარმოადგინოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია 2023 წლის 29 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლამ წარმოადგინოს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023 წლის 29 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლამ წარმოადგინოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ გეგმასა და ყოველწლიურ თვითშეფასებას, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2023 წლის 29 დეკემბრამდე.

ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია;	სკოლამ სამოქმედო გეგმაში უზრუნველყოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, რეალისტური ვადების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსების განსაზღვრა 2023 წლის 29 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	სკოლამ წარმოადგინოს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს 2023 წლის 29 დეკემბრამდე.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლამ წარმოადგინოს მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების ამსახველი დოკუმენტი 2023 წლის 29 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სკოლამ წარმოადგინოს პერსონალის მართვის ამსახველი დოკუმენტი 2023 წლის 29 დეკემბრამდე

ინდიკატორი N3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	სკოლამ შექმნას პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების გეგმა, 2023 წლის 29 დეკემბრამდე
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	1.სკოლამ წარმოადგინოს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა 2024 წლის 30 აპრილამდე; 2.სკოლამ წარმოადგინოს შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა 2024 წლის 30 აპრილამდე; 3. სკოლამ წარმოადგინოს სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა 2024 წლის 30 აპრილამდე.

		4. სკოლას აქვს შესაბამისობის გეგმაში დაფიქსირებული ექიმის კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება 2024 წლის 30 აპრილამდე, თუმცა ეძლევა რეკომენდაცია სასწრაფოდ გამოაცხადოს ვაკანსია შესაბამისი კადრის სკოლაში დასასაქმებლად.
ინდიკატორი N3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლამ შექმნას ვებ გვერდი 2023 წლის 29 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლამ შექმნას ვებ გვერდი და განათავსოს ინფორმაცია ქართულ ენაზე 2023 წლის 29 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა,	სკოლამ ვებ გვერდზე განათავსოს ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია 2023 წლის 29 დეკემბრამდე.

	პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია;	
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლამ წარმოადგინოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი 2023 წლის 29 დეკემბრამდე.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლას მიეცა რჩევა, გამოაცხადოს ვაკანსია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტისა და სკოლის ექიმის, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა, მიღების მიზნით.
ინდიკატორი N3.1.2.5	პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს	სკოლის დირექციას მიეცა რჩევა, წაახალისოს ნებისმიერი ინიციატივა, პროექტი, რომელიც უკავშირდება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების ინტეგრაციას.

ინდიკატორი N3.1.2.6	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი	სკოლას მიეცა რჩევა, რომ უფრო აქტიურად გამოიყენოს შინაგანაწესში გაწერილი აღიარების მექანიზმები.
ინდიკატორი N3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან	სკოლას მიეცა რჩევა, განახორციელოს პროექტი კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს განსხვავებული კულტურის ადამიანების ინტეგრირებასა და სასკოლო კულტური გაჯანსაღებას.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რჩევა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დასაცავად, ხელშეკრულება გააფორმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.
ინდიკატორი N3.5.1.5	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა)	სასურველია, სკოლამ იზრუნოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვაზე
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.2.3	სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის,	სკოლას მიეცა რჩევა, შესთავაზოს სასკოლო საზოგადოებას არასავალდებულო მომსახურების სერვისები შესაბამისი პირობებით

	მომსახურებისთვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი	
ინდიკატორი N4.2.1.1	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	სკოლას მიეცა რჩევა, უახლოეს მომავალში შეიმუშავოს და დაამტკიცოს მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმების ამსახველი ერთიანი დოკუმენტი.
ინდიკატორი N4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	სკოლას მიეცა რჩევა, **საბაზო და საშუალო საფეხურზე** დაგეგმოს აქტივობები მოსწავლეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**კომპიუტერული ტექნოლოგიები დაწყებით საფეხურზე,** კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგმა სასურველია იხელმძღვანელოს კომპიუტერულ ტექნოლოგიებში საგნობრივი გზამკვლევით. რესურსი 1-ზე დაყრდნობით, დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, გასწორდეს

		კურიკულუმის ჩარჩოს სვეტების შინაარსი და რესურსების ბმულები.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)	**კომპიუტერული ტექნოლოგიები** **დაწყებით საფეხურზე** სასურველია გაიზარდოს მოსწავლეთა ჩართვა სასკოლო, საერთაშორისო პროექტებში-INTEL, eTwinning, CTEL, დაიგეგმოს და განხორციელდეს ინტეგრირებული გაკვეთილები სხვადასხვა კათედრებთან თანამშრომლობით.
ინდიკატორი N 2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს	**კომპიუტერული ტექნოლოგიები** სკოლას მიეცა რჩევა, შემუშავდეს და გამოყენებულ იქნას **დაწყებით საფეხურზე** კომპლექსურებისთვის მატრიცები, სოლო ტაქსონომიით შეფასება, მოსწავლეთა ურთიერთშეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	**უცხოური ენები** სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები **სამივე საფეხურისთვის,** რომლებიც დააკონკრეტებენ მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია პედაგოგებმა შექმნან **საბაზო და საშუალო საფეხურზე** ყველა სასწავლო თემის ფარგლებში განმსაზღვრელი და ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი

		შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკებში სტანდარტის ინდიკატორები დააკონკრეტონ საკითხთან, ქვესაკითხთან მიმართებით.
ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას	სასურველია **საბაზო და საშუალო საფეხურზე** მეტი ყურადღება დაეთმოს არაფორმალურ განათლებას სკოლაში. მოეწყოს გასვლითი შემეცნებით გაკვეთილები. დაიგეგმოს და განხორციელდეს სხვადასხვა პროექტები, შექმნას სასკოლო კლუბები.
ინდიკატორი N 2.2.1.3	სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე	**ესთეტიკური აღზრდის კათედრა** **სამივე საფეხურზე** სასურველია კომპლექსურ დავალებებში მეტად წარმოჩინდეს სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიებისკენ, მიმართული აქტივობები,კითხვები, დავალებები, რათა მოსწავლეებს განუვითარდეთ მეტაკოგნიტური უნარები.
ინდიკატორი N 2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **საბაზო საფეხურის** კურიკულუმის ჩარჩოებში სასურველია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ, მე-7, მე-8 და მე-9 კლასების ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოებში, სავალდებულო თემის ფარგლებში არასრულყოფილად არის ასახული სამიზნე ცნება/ქვეცნების სვეტში საფეხურის

		ფარგლებში საგნობრივი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები, რომელთა საშუალებით სასკოლო კურიკულუმში განისაზღვრება კონკრეტული საკითხები. უმჯობესია გასწორდეს ფიზიკის მე-9 კლასის სავალდებულო თემების დასახელება, კერძოდ, I თემის დასახელებაში „მექანიკური მოძრაობის“ მაგივრად შესაძლოა იყოს „თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა“, ხოლო II თემაში - „ნიუტონის კანონები იმპულსის“ ნაცვლად ჩაიწეროს „სტატიკა და დინამიკა“.
ინდიკატორი N2.2.3.1	სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, გამოიკვეთოს ღია და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მეტი მტკიცებულებები **სამივე საფეხურზე.**
ინდიკატორი N2.2.3.3	სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას	სასურველია, შეიქმნას ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნებოდა სკოლის ხედვა თანამაშრომლობითი კულტურისა და ეფექტიანი კომუნიკაციის დანერგვისა და განხორციელების გზების შესახებ, მათ შორის გამოიკვეთოს სასკოლო საზოგადოების თითოეული სეგმენტის როლი:

		მასწავლებლების, მოსწავლეთა, მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციის.
ინდიკატორი N2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული მონიტორინგის ინსტრუმენტები და პროცედურები (მაგ. შეფასებისა და მონიტორინგის კრიტერიუმების დაჯგუფება (თემატიკის, მიზნებისა და პასუხისმგებელი პირების მიხედვით), მონიტორინგის მეთოდების (გამოკითხვა, ინტერვიუ, დაკვირვება, SWOT ანალიზის და ა.შ.) შემუშავება/შერჩევა, მონიტორინგის მიზნობრივი ღონისძიებების ჩატარება, მიღებული შედეგების/ მონაცემების დამუშავება, ანალიზი და საბოლოო ანგარიშებისა და რეკომენდაციების შემუშავება, შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის).
ინდიკატორი N2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას	სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს, რომ ანალიზში ასახული იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები. განსაზღვრული იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. ეს მიდგომა გახდის შესაძლებელს მონიტორინგის და შეფასების ანალიზის შემდგომი პროცესის სწორად პროგნოზირებას და

		მის საფუძველზე უზრუნველყოფს შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას სკოლის კურიკულუმის ან/და სამოქმედო გეგმის კორექტირებისთვის.
ინდიკატორი N2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	სასურველია, შეფასება იყოს მრავალფეროვანი და მოიცავდეს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრს; ამისათვის გამოყენებულ იქნას, სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი.
ინდიკატორი N2.3.2.2	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით	სასურველია, სასწავლო პროცესის შემადგენელი კონტექსტის შესასწავლად გამოყენებულ იქნას სოციალური კვლევების მეთოდები და ინსტრუმენტები. შესაბამისი სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა, მაგალითად, სასკოლო საზოგადოების (ადმინისტრაცია მასწავლებლები, მშობლები და სხა,) ასევე, საჭიროებებიდან გამომდინარე, სპეციფიკური ჯგუფების გამოკვლევა, მაგალითად, ადგილობრივი მოსახლეობა და სხვა.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“ (1.1.1.1; 1.1.1.2; 1.1.1.4; 1.1.1.5; 1.2.1.1; 1.2.1.2; 1.2.1.3; 1.2.1.4; 1.2.2.1; 3.1.1.1; 3.1.2.1; 3.2.1.2; 3.4.1.1; 3.6.3.1; 3.6.3.4; 3.6.3.5; 2.2.2.5), ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების მიხედვით. გარკვეული ინდიკატორები: 2.1.2.4; 2.2.2.3; 2.2.2.4. შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების მიხედვით არის „დასრულებული“ - ექსპერტებმა განიხილეს აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (დანართები) და დაადგინეს შესაბამისობა მითითებული ინდიკატორების შესრულების შესახებ.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის მისია მოცემულია 2022/23 წლის სასწავლო გეგმაში. სკოლა თვლის, რომ მისია დასახვეწია, შესაქმნელია ხედვის დოკუმენტიც. ამ მიზნით, სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტით (2023წ.29 აგვისტო) შექმნილია ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან. ავტორიზაციის ჯგუფის ექსპერტთა ვიზიტის დროს გაირკვა, რომ აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებული და დამტკიცებული იქნება 2023 წლის ბოლომდე.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ვადა, სკოლა 2023 წლის 29 დეკემბრამდე შეიმუშავებს სკოლის ხედვის დოკუმენტს - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

2.როგორც აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე სკოლას აქვს მხოლოდ მისია, რომლის სრულყოფასა და ხედვის დოკუმენტის შექმნაზე მუშაობს სკოლა. სამუშაო ჯგუფი შექმნილია, სადაც შედის სკოლის ყველა რგოლის წარმომადგენელი. არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის მისიისა და ხედვის დოკუმენტში აქცენტი გაკეთდება სკოლის, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებაზე.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ვადა, სკოლა 2023 წლის 29 დეკემბრამდე შეიმუშავებს სკოლის ხედვის დოკუმენტს - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

3. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტის შექმნის მიზნით, სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფის შემადგენლობა სრულად მოიცავს სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტს(მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, დირექცია-ადმინისტრაცია),

რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებული იქნება სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტი გაზიარებული.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

5.სკოლას არ აქვს ვებ.გვერდი, ხოლო სოციალურ ქსელში, სადაც სკოლა აქვეყნებს ინფორმაციას სასკოლო აქტივობების შესახებ, არ არის განთავსებული მსგავსი ტიპის დოკუმენტაცია. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მისიის/ხედვა/ღირებულებების დოკუმენტი შექმნის პროცესშია, იგი არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. სკოლა იძლევა დაპირებას, რომ აღნიშნული დოკუმენტი, მისი ფართო საზოგადოებისათვის წარდგენისა და განხილვის მიზნით, გამოქვეყნებული იქნება, როგორც ვებ.გვერდზე, ისე სოციალურ სივრცეში, ასევე, მატერიალური ფორმით გამოიკვრება სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

6.სკოლის სახელწოდება-სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლა- შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოფელ მოხეს 2022/23 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 29 აგვისტოს ბრძანება.
- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს საჯარო სკოლის სატიტულო ფურცელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით,

სასკოლო საზოგადოების ფართო წარმომადგენლობით შექმნილია ჯგუფი სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტის შექმნის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

2.როგორც აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე სოფელ მოხის საჯარო სკოლას არ აქვს სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

3.სკოლას აქვს ერთწლიანი განვითარების გეგმა, თუმცა ეს დოკუმენტი არ ემყარება სკოლის სტრატეგიულ გეგმას(ასეთი დოკუმენტი არ იძებნება) და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

4.როგორც აღვნიშნეთ, სკოლას აქვს ერთწლიანი განვითარების გეგმა, რომელიც არის შაბლონური. მასში მოცემული აქტივობები ძალიან ზოგადია, არ არის ინდიკატორები, შესაბამისად გაზომვას არ ექვემდებარება, ასევე არაფერია მითითებული რესურსების შესახებ, რომლითაც უნდა შესრულდეს გეგმაში მითითებული აქტივობები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 29 აგვისტოს N 42 ბრძანება სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგიის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. სკოლას არ აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, შესაბამისად, არ აქვს მონიტორინგის გამოცდილება.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

3.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების 7 წლიანი დოკუმენტი და მის საფუძველზე შექმნილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არ არსებობს, შესაბამისად, არცერთი მათგანი სასკოლო ცხოვრებაში არ ხორციელდება.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

4.სკოლის დაპირებით, მას შემდეგ, რაც შეიქმნება ზემოთ ხსენებული დოკუმენტები, მათი შესრულების შედეგები (ძლიერი და სუსტი მხარეები), გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, რომელიც შედგება დირექტორის მ/შემსრულებლის, მოადგილისა და ბუღალტერისგან; სამეურვეო საბჭო; პედაგოგიური საბჭო; დისციპლინური კომიტეტი; მრჩეველთა საბჭო; მოსწავლეთა თვითმმართველობა; კათედრები. მათი ფუნქციების განმსაზღვრელი დოკუმენტი (თუნდაც სქემატური ნახაზი) სკოლას არ აქვს შემუშავებული. სკოლას აქვს მზაობა, შექმნას აღნიშნული დოკუმენტი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

2.მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ გააჩნია მისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განმსაზღვრელი დოკუმენტი, ეს ერთეულები ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებას. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი მათი ჩართულობით მიმდინარეობს. სკოლაში ინახება კათედრების ანგარიშები, სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, მრჩეველთა საბჭოს ოქმები და ანგარიშები, სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის ანგარიშები, მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები. დისციპლინური კომიტეტი შექმნილია კანონმდებლობის საფუძველზე (დაცულია პარიტეტი). სკოლას არ აქვს დისციპლინური წარმოების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების ოქმები, დირექტორის მ/შემსრულებლის ანგარიშები
- კათედრების ანგარიშები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას ჰყავს დირექცია, თუმცა ადმინისტრაცია არასრულყოფილად არის დაკომპლექტებული (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის კოორდინატორი არ ჰყავთ, თუმცა შტატით განსაზღვრულია), ასევე, სკოლას არ ჰყავს ამჟამად ექიმი (ამ პოზიციაზე დანიშნული პირი დეკრეტულ შვებულებაშია). სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, რომლებიც მოქმედებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. სკოლას არ აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი;

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. სკოლის შინაგანაწესით გაწერილია პერსონალის მხრიდან სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, რის დროსაც სკოლა ახორციელებს გაკვეთილის ჩანაცვლებას ან გადანაცვლებას. იგივე პროცედურა არის გათვალისწინებული დანარჩენი პერსონალის შემთხვევაშიც. სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია ყველა კათედრის წარმომადგენელი. სკოლას აქვს ამ ჯგუფის წევრებისა და კათედრების წარმომადგენლების ურთიერთდასწრების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას არ აქვს დასაქმებულის კონკურსის წესით მიღების ახალი შემთხვევები, სკოლაში მომუშავე კადრები თავის დროზე შერჩეულია კონკურსის შედეგად. ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სკოლას არ ჰყავდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი (რაზედაც

სკოლა გაურკვეველი მიზეზებით არ დებს ვაკანსიას) არ ჰყავთ სკოლის ექიმი. (იმყოფება დეკრეტულ შვებულებაში) როგორც აგვიხსნეს, სკოლას უახლოეს დროში მოსაძებნი ეყოლება ფიზიკის მასწავლებელი, დამლაგებელი და დარაჯი. პერსონალის პირად საქმეებში სრულად არის წარმოდგენილი სავალდებულო დოკუმენტები, მათ შორის ნასამართლეობის არქონის და ნარკოლოგიური ცნობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში დასაქმებული პირების კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ პოზიციებს. სკოლის მასწავლებლებიდან ყველა სტატუსიანია, მათ შორის ჰყავთ 2 წამყვანი მასწავლებელი. მასწავლებელთა პირად საქმეებში დაცული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების თანახმად, ყველა მათგანი უმაღლესი განათლების მქონეა. დანარჩენი პერსონალის განათლებაც შესაბამისობაშია მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სოფელ მოხის საჯარო სკოლის საზოგადოება მულტიკულტურულია. სკოლაში დასაქმებული პირები, მოსწავლეები, სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები არიან. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მასწავლებლებს ხელს არ უშლის ითანამშრომლონ, ერთად შეიმუშავონ მარეგულირებელი დოკუმენტაციის პროექტები, დაგეგმონ ერთობლივი ღონისძიებები. ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა, რომ რამდენიმე მასწავლებელს აქვს სურვილი, განახორციელოს სასკოლო პროექტი კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, რაც უშუალო ბმაში იქნება იმ კონკრეტულ თემში არსებულ მულტიკულტურულ გარემოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას შინაგანაწესში გაწერილი აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი, ამ მიმართულებით სკოლაში არსებობს მადლობის სიგელები. როგორც ვიზიტის დროს დადგინდა, სკოლა თავისი მცირე ბიუჯეტის გამო, ვერ ახერხებს ფასიანი საჩუქრის ან ფულადი ჯილდოს გადაცემას წახალისების მიზნით და შემოიფარგლებიან მხოლოდ სეპირსიტყვიერი მადლობის გამოცხადებით(ბრძანებით გამოცხადებული მადლობა არ აქვთ, უბრალოდ, სიგელებია გადაცემული).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- ურთიერთდასწრების ფორმები(შევსებული)
- დირექციისაგან გამოცხადებული მადლობის სიგელები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები(დოკუმენტირებული სახით), თუმცა, სასკოლო ცხოვრების წარმართვა მიმდინარეობს იმ საჭიროებათა გამოვლენის საფუძველზე, რაც პრიორიტეტულია მიმდინარე პერიოდისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი. ასევე, სკოლას აქვს საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რომლის დროსაც გაიცემა რჩევები და რეკომენდაციები(მათ შორის წერილობითი). სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე გაკვეთილებზე დასწრების საშუალებით ახორციელებენ სასწავლო პროცესის მონიტორინგს. ასევე სკოლის დირექცია მონიტორინგს უწევს სკოლის პერსონალს მათზე დაკისრებული საქმიანობის კეთილსინდისიერად შესრულებისა და პროფესიული საჭიროების გამოვლენის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლას პესონალის საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმა ან ამ გეგმის შემცველი დოკუმენტაცია არ გააჩნია, თუმცა იყო ერთეული შემთხვევა პერსონალის განვითარებაზე ზრუნვისა, როცა სკოლამ თავისი სახსრებით გადაამზადა ბუღალტრი და ამით ხელი შეუწყო მის პროფესიულ ზრდას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

3.სკოლას გააჩნია საკმარისი რაოდენობის ტექნიკური საშუალებები და ელ.რესურსი, რომელიც გამოიყენება პერსონალის განვითარებისათვის. ასევე, აქვთ თავისუფალი სივრცეები, საკლასო ოთახები, სააქტო დარბაზი, რომლის გამოყენების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. ამას გარდა, სკოლა პერსონალს აწვდის ინფორმაციას სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სანდო კვალიფიკაციის მქონე სუბიექტების მიერ შემოთავაზებული ტრენინგ-პროგრამებთან დაკავშირებით. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სტატუსი შეიცვალეს მასწავლებლებმა, რაც სკოლის დირექციის მხარდაჭერით მოხდა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლას არ გააჩნია თანამშრომელთა ადაპტაციის დოკუმენტი, თუმცა პერსონალი ინტეგრირებულია სამუშაო გარემოსთან. აღსანიშნავია ის ფაქტობრივი მოცემულობაც, რომ სკოლაში არის მულტიკულტურული გარემო (სხვადასხვა აღმსარებლობის თემი) დასაქმებულია

ეკლესიის მორჩილი(ქალბატონი), რომელსაც აქვს მუსიკალური განათლება და ასწავლის მუსიკას. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა სკოლის დირექცია ზრუნავს მასწავლებელთა ინტეგრაციასა და სკოლაში ჯანსაღი გარემოს შექმნაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლა უახლოეს მომავალში გეგმავს, მოიწვიოს კვალიფიციური კადრები ტრენინგების ჩასატარებლად, სასკოლო კურიკულუმის დახვეწის, კომპლექსური დავალებების შემუშავებისა და სათანადოდ განხორციელების, შეფასების რუბრიკების სრულყოფის მიზნით. აღნიშნული ინიციატივა მოდის მასწავლებლებიდან და მხარდაჭერილია დირექცია-ადმინისტრაციისაგან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ(დირექცია, ადმინისტრაცია)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას იწყებს ჯერ კიდევ წინა სასწავლო წლის დასრულების პერიოდში. კათედრების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე განიხილება, თუ რა წარმატებები ჰქონდა სკოლას და რა სუსტი მხარეები გამოიკვეთა. აღნიშნული ანალიზი საფუძვლად ედება ახალი სასკოლო გეგმის პროექტის შემუშავებას. ვიზიტის პერიოდში დავაკვირდით კათედრების მუშაობას, სადაც მიმდინარეობდა 2023/24 სასწავლო წლისათვის მზადების პროცესი. კათედრების მიერ წარმოდგენილი თემატური გეგმები(კურიკულუმები) წარმაოდგენს სასკოლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების მექანიზმს. ამ პროცესს წარმართავს სკოლის წამყვანი მასწავლებლების ჯგუფი, ურთიერთთანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის გაზიარების პრინციპების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის სტრუქტურული ერთეულები ჩართულები არიან სასკოლო ცხოვრების წარმართვაში. როგორც აღვნიშნეთ, ვიზიტის პერიოდში კათედრებზე მიმდინარეობდა მუშაობა ახალი სასკოლო გეგმის პროექტის შექმნის მიზნით. სასკოლო გეგმის პროექტი თანხმდება სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, რომელსაც შემდეგ ამტკიცებს სკოლის პედაგოგიური საბჭო. სკოლას ჩანიშნული ჰქონდა თარიღები სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოზე 2023/24 სასწავლო წლის პროექტის განხილვა/დამტკიცებასთან დაკავშირებით. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც ახდენს შესაძლო რისკების იდენტიფიცირებას, ასევე, იძლევა რეკომენდაციებს გარკვეული სახის

პრევენციული ღონისძიების გატარებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექცია მუშაობს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და პროცესების მოწესრიგების მიმართულებით. სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტები წარმოადგენს ამ პროცესების მარეგულირებელ და ხელშემწყობ მექანიზმს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მიიღოს საქმე წარმოებაში, თუმცა სკოლას ამ დრომდე არ გააჩნია დისციპლინური წარმოების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.როგორც აღვნიშნეთ, სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებულია პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. ამას გარდა, სკოლას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები პერსონალთან, რომელიც ასევე იძლევა დამატებით გარანტიებს. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები ასევე წარმოადგენს ამ უკანასკნელთა კანონიერი უფლებების დაცვის საშუალებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სამეურვეო საბჭოს ოქმები(მათ შორის დისციპლინური კომიტეტის არჩევის).
- საგნობრივი კათედრების 2022/23 სასწ.წლის ანგარიშები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესები ღიაა და მისი შინაარსობრივი მხარე ცნობილია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლის დაგეგმილი აქტივობების თაობაზე ინფორმაციის განთავსება ხდება როგორც საჯარო სივრცეში(სოციალურ ქსელში), ისე სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება ხდება ზეპირი წესითაც(წერილობითი სახის მიმართვები არ იძებნება), ტელეფონით და ა.შ. უკუკავშირისათვის გამოიყენება იგივე საშუალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლაში მოქმედი ყველა კოლეგიური ორგანო დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით და მათივე წარმომადგენლებისაგან. სკოლის სამეურვეო საბჭოში შედიან როგორც მასწავლებელთა, ისე მშობელთა და მოსწავლეთა წარმომადგენლები, იგივენაირად არის დაკომპლექტებული დისციპლინური კომიტეტის და მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა. აღსანიშნავია, რომ აქ ჩამოთვლილ ორგანოთა ფუნქციონირების მტკიცებულება გახლავთ მათ მიერ ნაწარმოები დოკუმენტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს არჩევის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის შენობა გარემონტებულია 2020 წელს, ამავე წელს აშენდა სკოლის მარცხენა ფლიგელი, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა სპორტული დარბაზი და დანარჩენი შენობა. სკოლის ტერიტორია კაპიტალურად არის შემოღობილი. ვიდეო სათვალთვალო სისტემა არ არის დამონტაჟებული. სკოლაში უსაფრთხო გარემოს დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია. ვიზიტის პერიოდისათვის სკოლას არ ჰყავდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას არ ჰყავს სკოლის ექიმი(კაბინეტი მოწყობილი აქვთ). სკოლაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, მაგრამ არ აქვთ სახანძრო უსაფრთხოების დოკუმენტი, ასევე, არ არის შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დოკუმენტი. ვიზიტის დროს სკოლის შენობის მთავარი შესასვლელი იყო ავარიულ მდგომარეობაში, ზამთარში მოსული დიდი თოვლის გამო დაშლილი იყო ლითონის

კონსტრუქცია, რაც წარმოადგენს გარკვეული სახის საფრთხეს იქ შემსვლელი პირებისათვის. ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, გაკეთდა სპეციალური მონიშვნა, ჩაიკეტა მთავარი შესასვლელი. სკოლა ამჟამად სარგებლობს სათადარიგო შესასვლელით, რომელსაც გამოიყენებენ პრობლემის მოგვარებამდე. უნდა აღინიშნოს, რომ დაზიანებულია სახურავი, მესამე სართულზე შენობაში ჩამოდის წყალი, დეფორმირებულია 1 საკლასო ოთახისა და დერეფნის ჭერი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2024 წლის 30 აპრილამდე), სკოლამ ასევე წარმოადგინა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სასწრაფოდ გამოაცხადოს ვაკანსია ექიმის კვალიფიკაციის შესაბამისი კადრის სკოლაში დასასაქმებლად - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

2.სკოლა უზრუნველყოფს საზ. წესრიგის დაცვას, რაც ხორციელდება შინაგანაწესის ნორმების მიხედვით, სადაც გაწერილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. ასევე, ამ მიზნით, სკოლას გამოყოფილი ჰყავს მორიგე მასწავლებლები. როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათზე აქტიურად მუშაობენ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე. შიდა სასკოლო გარემოში(შენობაში) წესრიგს იცავენ მორიგე მასწავლებლები და მოსწავლეები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს, ამ მიმართულებით ძირითადი დატვირთვა მოდის კლასის დამრიგებლებზე, სადამრიგებლო პროგრამებსა და კლასის საათში გაწერილი თემები, ღონისძიებები და აქტივობები, განხორციელებული პროექტები, უზრუნველყოფს სკოლაში ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლის დირექცია ხელს უწყობს მსგავსი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას სკოლში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.ვიზიტის დროს სკოლაში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგი, სკოლა მარაგდება საკუთარი წყალგაყვანილობის სისტემით, სკოლის თავისუფალი სივრცეებში, საკლასო ოთახებსა და კაბინეტებში, ასევე, სველ წერტილებში დაცულია სისუფთავე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.პერსონალის პირად საქმეებზე, სკოლის eschool-ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი, იგივე პირი განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით. მოსწავლეთა პირადი საქმეები ასევე ინახება კანცელარიაში(საქმისმწარმოებლის მეთვალყურეობის ქვეშ). მოსწავლეთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე მუშაობენ კლასის დამრიგებლები. პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით სკოლა სრულ შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, სადაც პერსონალისათვის გაწერილია ვალდებულება, სიფრთხილით მოეკიდოს მის ხელთ არსებულ ნებისმიერი სახის ინფორმაციას და მიიღოს ზომები, მათი კანონიერი გზით გაცემასთან დაკავშირებით. სკოლას გააჩნია facebook გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სასკოლო აქტივობების შესახებ, აქ ასევე განთავსებულია ფოტო-მასალა, რომლის განთავსებაზეც არსებობს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ნებართვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7.სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს სკოლის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, მათ შორის დირექციასთან. სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 ივნისის ანგარიშში(მრჩეველთა საბჭოს წინაშე) შეფასებულია რისკები და დასახულია მიზნები შედეგების გაუმჯობესების მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი.
- დირექტორის 2023 წლის ივნისის ანგარიში მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.
- ინტერვიუ დირექციის და პერსონალის წარმომადგენლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სოფელ მოხის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. სკოლა განთავსებულია 3 სართულიან შენობაში, შენობა ადაპტირებულია, გააჩნია პანდუსი, ლიფტი(საჭიროებს ტექ.გამართვას), ადაპტირებული სველი წერტილები, კლასები მოწესრიგებულია, სასკოლო ინვენტარი კარგ მდგომარეობაშია, სააქტო დარბაზი საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს, ასევე, ზოგიერთი საკლასო ოთახი(წვიმის წყლის ჩამოსვლის გამო არის დაზიანებული), სკოლას აქვს ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიების

ფრაგმენტული თვალსაჩინოებები, ლაბორატორია განთავსებულია ცალკე კაბინეტში(სამივე მიმართულება ერთ სივრცეშია), ხოლო თვალსაჩინოებები და ხელსაწყოები(ასევე ცდების ჩატარებისთვის საჭირო რეაქტივები) განთავსებულია სათავსოში. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სასწავლო წიგნები და კლასგარეშე ლიტერატურა საკმარისი რაოდენობითაა. ასევე, სკოლას გააჩნია ელ.რესურსის საჭირო რაოდენობა. სკოლას აქვს საინტერესო სივრცეები, რომლებიც გამოყენებულია კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულებით(აქ განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები), სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც ფანჯრებზე საჭიროებს დამცავი ბადეების გაკეთებას. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, კარგად მოვლილი ეზო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.როგორც აღვნიშნეთ, სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი და ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. მატერიალურ რესურსს სკოლის პერსონალი იყენებს დანიშნულების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ხელშემწყობ გარემოს, ყველა პირის მიერ მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების და თანაბრად ხელმისაწვდომობის მიმართულებით. შენობა ადაპტირებულია, საკლასო ოთახები კეთილმოწყობილია და სათანადო ინვენტარით არის აღჭურვილი, აქვთ რესურსოთახი(ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე არ ჰყავთ, არც სპეციალური მასწავლებელი). კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია, როგორც საგაკვეთილო, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სოფელ მოხის საჯარო სკოლა ემსახურება თემში გაერთიანებულ 12 სოფელს, სადაც ასევე საჯარო სკოლებია, რომელთაც არ გააჩნიათ საშუალო საფეხური. აქედან გამომდინარე, მიმდებარე სოფლების მოსწავლეები საშუალო საფეხურს ამთავრებენ სოფელ მოხის საჯარო სკოლაში. ამ ფაქტობრივი გარემოების გამო, სკოლა განსაკუთრებული მნიშვნელობის საგანმანათლებლო დაწესებულებაა არსებული თემისთვის. სკოლას გააჩნია შესანიშნავი ინტელექტუალური რესურსი, რომელიც ქმნის გარემოს სკოლის სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებისათვის. სკოლას აქვს მდიდარი წიგნადი ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია თემის მოსახლეობისათვის. აქვს სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი. სკოლას გააჩნია კარგი ადამიანური რესურსი, იყოს უფრო აქტიური და მეტად ჩართული სასკოლო თემის ცხოვრებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სოფელ მოხის საჯარო სკოლაში ამ ეტაპზე ირიცხება 129 მოსწავლე. სკოლა სამივე საფეხურზე ახორციელებს ზოგადი განათლების პროგრამების სერვისის მოსწავლეებისათვის მიწოდებას. სკოლაში არის 12 ფინანსური კლასი. საკმარისი რაოდენობის საკლასო ოთახები. ტექნიკური საშუალებები, თვალსაჩინოებები, ინვენტარი. სკოლას შესყიდვების წლიურ გეგმაში გათვალისწინებულია სასკოლო ცხოვრებისათვის აუცილებელი რესურსები, რაც ასევე გაწერილია სკოლის ბიუჯეტში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას გააჩნია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ახალი ლეპტოპებით, ჯამში აქვთ 14 ლეპტოპი და 11 პერსონალური კომპიუტერი. ყველა მათგანი მუშა მდგომარეობაშია. დირექციის წევრებს, საქმისმწარმოებელს აქვთ თავიანთი სამუშაო კომპიუტერები, სკოლას აქვს საკმარისი ოდენობის ქსეროქსისა და პრინტერის აპარატები, ასევე, პროექტორები. ამ მიმართულებით, სოფელ მოხის საჯარო სკოლა სრულად არის უზრუნველყოფილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერულ ლაბორატორიით სარგებლობის წესი. აღნიშნული წესი და განრიგი უზრუნველყოფს ელ.რესურსით თანაბარ ხელმისაწვდომობას. სკოლას მიეწოდება უწყვეტი ინტერნეტი, თუმცა, ზამთრის პერიოდში ხშირია ელ.ენერგიის და ინტერნეტის სიხშირის პრობლემები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტექნიკური საშუალებები
- ესიდა-სა და სკოლას შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი ლეპტოპების გადმოცემის შესახებ
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 29 აგვისტოს N43 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომელშიც გაწერილია პროცედურები, თუ რა ეტაპებს გაივლის სკოლაში შემოსული დოკუმენტაცია/წერილი მის შესაბამის პირთან გადამისამართებამდე. საქმისწარმოების წესის შესრულებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, მატერიალურად შემოსული დოკუმენტაცია ტარდება eflow-ში, ენიჭება ნომერი და ეგზავნება სკოლის დირექტორს(ან ადრესატს).იგივე პროცედურით ხდება ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული წერილის რეგისტრაცია. Eflow-თი შემოსული წერილები გადამისამართდება სკოლის დირექტორთან. დირექტორის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტები იტვირთება eflow-ში და ენიჭება ნომერი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა დოკუმენტბრუნვისათვის იყენებს eflow-ს და email.mes.gov.ge-ს(სკოლის მისამართია mokhe@mes.gov.ge). ამასთან ერთად, სკოლა იყენებს rs.ge და signature.ge-ს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის პროფილში(eschool-ის ბაზა) სრულად არის ასახული მონაცემები მოსწავლეთა რაოდენობის, კლასების, მასწავლებლების, საათობრივი დატვირთვის, პერსონალი ანკეტური მონაცემების თაობაზე, ასევე, არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ადიგენის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ებთან(ესიდა), ადგილობრივ თვითმმართველობასთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერ-მინისტრისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ელ.ფოსტის დათვალიერება

- eflow-ში წერილების მოძრაობის დათვალიერება(წერილების მომზადების ვადებთან ერთად).
- სკოლის მიერ მიწოდებული ანგარიშები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ამ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია ვებ.გვერდი(ვებ.გვერდი შექმნილია, მაგრამ სკოლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, არ იყო გააქტიურებული ვიზიტის დროს), ძირითადად, საზოგადოებასთან სკოლა ურთიერთობს სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც განთავსებულია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. ამ გვერდზე(მისი პროფილის გათვალისწინებით) სკოლას ატვირთული არ აქვს ოფიციალური დოკუმენტაცია. აქედან გამომდინარე, სკოლის მიერ გამოქვეყნებული მასალები ვერ იძლევა სრულყოფილ წარმოდგენას სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

2.სკოლას აქვს სამართლებრივი და მორალური ვალდებულება გაავრცელოს გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, ეგზავნებათ მათ პირადად, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე. ყველა ინფორმაცია შეთანხმებულია სკოლის ადმინისტრაციასთან. ვიზიტის დროს სკოლამ დააფიქსირა მზაობა აღნიშნული ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის იყენებს სოციალურ ქსელს, ასევე, „მესენჯერს“, ე.წ.“ჩატებს“. უპირატესობას ანიჭებს დასწრებით ფორმატში კომუნიკაციას(შეხვედრები, მშობელთა კრებები), სადაც გაიცემა ზეპირი სახის რჩევები(უფრო სურვილების დონეზე), რომელსაც სკოლა ითვალისწინებს თავისი შემდგომი საქმიანობის განმავლობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ.გვერდი, შესაბამისად, მასზედ ინფორმაცია არ არის განთავსებული.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

5.ვებ.გვერდი არ არის აქტიური, ამასთანავე, სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, არც სხვა, ჩამოთვლილი დოკუმენტაცია. სკოლას აქვს მზაობა, ვებგვერდის ამოქმედებისთანავე მასზედ განათავსოს სასკოლო ცხოვრების მარეგულირებელი ყველა დოკუმენტი და პროექტი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური გვერდის დათვალიერება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას გააჩნია საკუთარი ფინანსური რესურსი, რომლითაც აკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნებს. ძირითადი ფინანსური ხარჯი მოდის პერსონალის ხელფასა და კომუნალურ გადასახადებზე. დარჩენილი ნაშთით სკოლა იძენს სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსებს, ზამთრის სეზონის გათბობისათვის საჭირო რესურსს(ცენტრალური გათბობა შეშაზეა), სანიტარულ-ჰიგიენურ საშუალებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა კალენდარული წლის ბოლოს ადგენს მომავალი წლის ბიუჯეტს(ამტკიცებს სამეურვეო საბჭო), ბიუჯეტის საფუძველზე დირექცია ახდენს მომდევნო წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენა/დამტკიცებას. სკოლას აქვს პრაქტიკა, შესყიდვების გეგმა შეადგინოს

კათედრების თავმჯდომარეების მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე(სადაც ითხოვენ მათთვის საჭირო რესურსის შეძენას). სკოლას არ ჰყავს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, მაგრამ მის ნაცვლად, ტექ.პერსონალის მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო მასალების რაოდენობის დადგენას ახდენს დირექცია და შესყიდვა ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად. 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული აქვთ მომსახურების შესყიდვა ახალი საკადასტრო ნახაზის შემუშავებასთან დაკავშირებით, ასევე, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი 2023 წლის ნიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
- სკოლის დირექტორის 2022 წლის დეკემბრის ანგარიში.
- 2023 წლის შესყიდვების გეგმა თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.
- მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოქმედი შინაგანაწესი, რომელიც გაზიარებული და მიღებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი. შინაგანაწესის თანახმად, დისციპლინური სახის წარმოების საფუძველი შეიძლება გახდეს სკოლაში დასაქმებული პირებისგან მოსწავლის მიმართ განხორციელებული ისეთი სახის ქმედება, რომელიც ლახავს მოსწავლის უფლებას, შეურაცხყფს მის პირად ღირსებას, ხოლო ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში დასაქმებული ექვემდებარება სამსახურიდან გათავისუფლებას. მოსწავლის უფლებები გაწერილია, სკოლის მიერ მიღებულ რეფერირების დოკუმენტში. მოსწავლის უფლებების შემცველია სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც სკოლა იღებს ვალდებულებას, მოსწავლეს შეუქმნას უსაფრთხო ფსიქო-სოციალური გარემო და მიაწოდოს ხარისხიანი განათლება. მოსწავლეთა უფლებები რეგულირდება სკოლის სხვა დოკუმენტაციითაც, მაგ: ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით, კომპიუტერული ლაბორატორიის რესურსით სარგებლობის წესით და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის შიდა რეგულაციები(შინაგანაწესი, სხვა მარეგულირებელი წესები) შემუშავებული, მიღებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამ წესების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ყველა დაინტერესებული პირისათვის. შინაგანაწესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სკოლის რესურსებით სარგებლობის წესი, მოსწავლის რეფერირების წესი, განთავსებულია ღია

სივრცეში. შესაძლებელია მათი ელ.ვერსიით სარგებლობა. სკოლის ვებ.გვერდის ამუშავების შემდეგ, სკოლა გეგმავს ამ მარეგულირებელი წესების საჯარო სივრცეში განთავსებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება სკოლაში, ხოლო მეორე-მშობელთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლასა და მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- შინაგანაწესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტი(სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 20 აგვისტოს N40 ბრძანება). სკოლას გააჩნია პრაქტიკა მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვასთან დაკავშირებით, ასევე, მობილობის შემთხვევაში სკოლის მოქმედებები კანონიერია. მოსწავლეთა მობილობა ხორციელდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების საფუძველზე, ასევე, ჩარიცხვა ხდება მშობლის განაცხადით, ხოლო კლასისა და საფეხურის დაძლევა ხორციელდება სკოლის პედსაბჭოს გადაწყვეტილებით, რასაც მოჰყვება დირექტორის მ/შემსრულებლის ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენის მიმართულებით სკოლა იყენებს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესს და მის საფუძველზე შემუშავებულ შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის მოთხოვნებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლას პრობლემა არასოდეს შექმნია, სკოლის გადაწყვეტილება არ ყოფილა გასაჩივრებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფს დაწყებით-საბაზო-საშუალო საფეხურებზე. აღნიშნული სერვისის შესახებ ძირითადი ინფორმაცია განთავსებულია სასკოლო-სასწავლო გეგმაში, რომლის

დანერგვაც წარმოებს საგნობრივი კურიკულუმების მეშვეობით. სკოლას არ აქვს ფასიანი მომსახურების მოწოდების პრაქტიკა, სკოლაში არ ფუნქციონირებს ფასიანი წრეები, არ აქვთ კვების სერვისი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ მიწოდებული სერვისების, სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება სასკოლო საზოგადოებასთან პირისპირ შეხვედრებისას, სოციალური ქსელის მეშვეობით(სკოლას აქვს თავისი გვერდი), რაც შეეხება ოფიციალურ დოკუმენტაციას, მისი განთავსება ჯერჯერეობით არ მომხდარაარც სოციალურ და არც სკოლის ვებ.გვერდზე(ვებ.გვერდი არ ფუნქციონირებს). გავრცელებული ინფორმაცია არ არის დისკრიმინაციული ხასიათის, ასევე, პერიოდულად მიმდინარეობს მისი განახლება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 20 აგვისტოს N40 ბრძანება მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს დოკუმენტი მოსწავლეთა ადაპტაციასთან დაკავშირებით, ამ მხრივ სოფელ მოხის საჯარო სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა. როგორც აღვნიშნეთ, სკოლა ემსახურება თემში შემავალ 12 სოფელს, სადაც ასევე ფუნქციონირებს 4 საბაზო სკოლა. ამ სკოლებიდან, საშუალო საფეხურის დასრულების მიზნით, მოსწავლეები გადმოდიან

სოფელ მოხის საჯარო სკოლაში. ამ ასაკის მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური თავისებურებების გათვალისწინებით, სკოლა ახერხებს, როგორც გადმოსული მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოებას, ისე ადგილობრივ მოსწავლეებთან ინტეგრაციას. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, დირექციამ განმარტა, რომ ეს პროცესი არ არის იოლი და საჭიროებს დიდ ძალისხმევას, როგორც კლასის დამრიგებლების, ისე მთელი სასკოლო საზოგადოების მხრიდან. იმისათვის, რომ გაადვილდეს ახალ გარემოსთან შეგუების პროცესი, იგეგმება ისეთ ტიპის ღონისძიებები, როგორიცაა არაფორმალური აქტივობები(ისტორიული ძეგლის დათვალიერება, სპორტული შეჯიბრებები, აღმზრდელობითი სახის საუბრების ჩატარება არაფორმალურ გარემოში). აღნიშნული მეთოდებით სკოლა ახერხებს მოსწავლეთა ინტეგრაციის პროცესების მართვას. ცალკე ხდება პირველკლასელთა ადაპტაცია, რომელშიც წარმმართველ რგოლს წარმოადგენს კლასის დამრიგებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის დირექციის განმარტებით, სწავლის დაწყების მომენტიდანვე სკოლა გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს მოსწავლეთა ადაპტაციასთან დაკავშირებით. ასეთი ღონისძიებების შედეგად სკოლა ახერხებს კონფლიქტური სიტუაციების მართვას, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სკოლას ცხოვრება უხდება მულტიკულტურულ გარემოში, რაც კიდევ უფრო ზრდის მოსწავლეთა ადაპტაციის მნიშვნელობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაზე, მოსწავლეს უწევს სათანადო მხარდაჭერას და კომსულტაციას. საგნის შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მასწავლებელი იძლევა სათანადო განმარტებებს, ნიშნის ამაღლების მოთხოვნასთან დაკავშირებით რეაგირებს ადეკვატურად. ამის მაგალითად გამოდგება გასული სასწავლო წლის შემთხვევა, როდესაც მშობელი არ დაეთანხმა საგნის სემესტრულ შედეგს და მოითხოვა ქულის შეცვლა. სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 21 ივნისის N30 ბრძანების საფუძველზე გამოცდა დაინიშნა 27 ივნისს. გამოცდის ჩატარებამდე შესაბამისი საგნის პედაგოგი მოსწავლეს უწევდა მხარდაჭერას, რის შედეგადაც მოსწავლემ აჩვენა უკეთესი შედეგი და მიიღო სასურველი შეფასება. სკოლას არ აქვს ექსტერნის და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია სემესტრული და წლიური ქულების გაპროტესტების თაობაზე, ასევე, საგნის დაუძლევლობის შემთხვევაში-საშემოდგომო გამოცდის დანიშვნა-ჩატარების ვადების და ექსტერნის ფორმით საგნის/კლასის/სემესტრის დაძლევის შესახებ. სკოლის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს აცნობს ახალი სასკოლო გეგმის ფუნდამენტურ ნაწილებს. მობილობის შემთხვევაში სკოლა ღებულობს ზომებს მოსწავლისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლაში მუდმივად იმართება სასკოლო ღონისძიებები, რომელიც მხარდაჭერილია სასკოლო საზოგადოებისაგან. მხატვრულ-ესტეტიკური გაფორმების მიმართულებით მოსწავლეებს ეხმარება მუსიკის მასწავლებელი, რომელიც ამავდროულად არის საეკლესიო პირი(მორჩილი). აღნიშნული მასწავლებელი მოსწავლეებს ასწავლის მუსიკალური საკრავების გამოყენებას. მოსწავლეებს, რომლებიც წარმოადგენენ მულტიკულტურული საზოგადოების ნაწილს, აქვთ მიმღებლობა და პატივისცემა აღნიშნული პირის მიმართ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა თვითმმართველობა თანამშრომლობს სკოლის დირექცია-ადმინისტრაციასთან. ზეპირი უკუკავშირისა და ჯანსაღი კომუნიკაციის საფუძველზე, იგეგმება არაფორმალური სახის ღონისძიებები, რომლებიც ძირითადად ორიენტირებულია ადგილობრივი კულტურული ძეგლების ისტორიის შესწავლაზე, ლაშქრობის ან ექსკურსიის მოწყობის საშუალებით. სკოლის მიერ წახალისებულია ასეთი აქტივობები, რომლებშიც ყველა საფეხურის მოსწავლეებთან ერთად ჩართულნი არიან მასწავლებელებლებიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 21 ივნისის N30 ბრძანება სემესტრული ნიშნის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნის შესახებ
- ინტერვიუ მასწავლებლებთან(დამრიგებლებთან)

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მიუხედავად იმისა, რომ სკოლას 2022/23 სასწ.წლის სასკოლო გეგმაში გათვალისწინებული არ ჰქონია პროფესიული ორიენტაციის საათები, კლასის დამრიგებლები თავიანთი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში აწვდიან მოსწავლეებს ინფორაციას მათსავე ინტერესს მორგებულ პროფესიებთან დაკავშირებით. მოსწავლეებს განხორციელებული აქვთ ვიზიტი ახალციხის პროფესიულ სასწავლებელში, სადაც იღებენ ინფორმაციას ამ სასწავლებლის მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ. ვიზიტის ფარგლებში გაირკვა, ძირითადად რა პროფესიებით ინტერესდებიან სოფელ მოხის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები. აღმოჩნდა, რომ მათი უმეტესობა რჩება სოფელში, დასაქმებულია სოფლის საოჯახო მეურნეობაში. მხოლოდ მცირე ნაწილი აგრძელებს სწავლას უმაღლესი ან პროფესიული განათლების მიმართულენით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები სრულად არიან ინფორმირებულები საბაზო და საშუალო განათლების მიღების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კურსდამთავრებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი შეისწავლის პროფესიას ან აბარებს უმაღლეს სასწავლებელში. ახალგაზრდების ადგილზე დამკვიდრება და დასაქმება ჯერ კიდევ სირთულეს წარმოადგენს სოფლისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას არ აქვს გაწეული მომსახურების შეფასების დოკუმენტირებული მექანიზმი და არც რაიმე სახის ანგარიში არსებობს შეფასების შედეგების ეტაპობრივი დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა აქვთ ასეთი მიმართულებით მუშაობის გამოცდილება(წინა წლებში ჰყავდათ). სკოლას გააჩნია მოწესრიგებული, სრულად ადაპტირებული გარემო(რესურსოთახი-თავისი სათანადო აღჭურვილობით, ლიფტი(ტექნიკური მხარეა შესამოწმებელი), მასწავლებლებს თავის დროზე შემუშავებული აქვთ ინდ.გეგმები.სკოლას გააჩნია მზაობა, საჭიროების შემთხვევაში თავისი მომსახურება შესთავაზოს სსსმ მოსწავლეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.როგორც აღვნიშნეთ, სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პრაქტიკა. როგორც აგვიხსნეს, სსსმ მოსწავლის განვითარებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლი. საჭიროების შემთხვევაში ეს მზაობა კვლავ გააქტიურდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ძველი ინდ.გეგმები.
- სსსმმოსწავლესთან დაკავშირებით წარმოებული დოკუმენტაციები(2019წ)

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. გასული 2022/23 სასწ.წლის განმავლობაში სოფელ მოხის საჯარო სკოლას თავისი მოსწავლეებისათვის ასეთი ტიპის მომსახურება არ შეუთავაზებია.

2. დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების შეთავაზება არ განხორციელებულა(სკოლას არ აქვს გაიჯარებული ფართები)

3. ამ ეტაპზე, ასეთი სახის მომსახურება სოფელ მოხის საჯარო სკოლაში არ ხორციელდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....
.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება წინა წლის სასწავლო პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. ამ პროცესში ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად მიიჩნევა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების გათვალისწინება. შედეგების ანალიზი გათვალისწინებული იქნება საბოლოო ვარიანტში, რომელიც მიიღება 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპონენტები: სასწავლო თემები, საკითხები, რესურსები, შერჩეული კომპლექსური დავალებები ეფუძნება წინარე გამოცდილებას, კოლეგებისა და მშობლების უკუკავშირს, მოსწავლეთა თვითშეფასებას, შესაბამისად, ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. უპირატესობა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს ენიჭება, ყურადღება ექცევა მათ ასკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით. როგორც სხვადასხვა კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების და კათედრის ოქმებიდან ირკვევა, აღნიშნულ პროცესში ჩართულია კათედრის თითოეული წევრი. პედაგოგები ერთობლივად განიხილავენ კურიკულუმში შემავალ საკითხებს, მუშავდება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს და შეხედულებებს. კურიკულუმზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში, კურიკულუმებში განსაზღვრულია თემები, საკითხები, კომპლექსური დავალებების რაოდენობა, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები.მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს წარმიდგენილი მასალის სიზუსტეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.გასაუბრების და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია; სასკოლო სივრცეში განთავსებული საინფორმაციო დაფები; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმები;
- დანართი -1.1.1- სტრატეგიული გეგმა 2022-28 წწ;
- დანართი -1.2.1- პედსაბჭოს ოქმი N1 (სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული 2022-23 სასკოლო სასაწავლო გეგის დამტკიცება)

- დანართი- 1.2.1 - სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 (სასკოლო და სტრატეგ. გეგმების განხილვა და შეთანხმება)
- დანართი- 1.2.1- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაწყებითი საფეხურის საგნების სტანდარტები და მოთხოვნათა რეალიზების გზები ნაჩვენებია მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან გამომდინარე კომპლექსური დავალებების სახით, სწავლის შედეგები ფორმულირებულია სამიზნე ცნებების სახით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესში თემები (საკითხები) მეტწილად ლოგიკური თანმიმდევრობითაა დალაგებული (მაგ. მე-2 კლასი), თუმცა რიგ კლასებში ისტ-ს მიმართულებით(ტექნოლოგიების გზამკვლევიდან-რესურსი 1 გამომდინარე) ყველა სამიზნე ცნება არ მუშავდება (მაგ. მე-3 კლასში არ მუშავდება ცნებები: "პირობითი ნიშნები და „ციფრული მოქალაქეობა", მე-4 კლასში არ მუშავდება "კომპიუტერის აგებულება", და "ინტერნეტი", მე-5 კლასში არ მუშავდება ცნებები: „გრაფიკული ინტერფეისი" ,"ინტერნეტი", მე-6 კლასში არ მუშავდება ცნება-„გრაფიკული ინტერფეისი"). კურიკულუმის ჩარჩოს სვეტების შინაარსი ნაწილობრივ არეულია, მაგ: მე-3 კლასში ცნებების „ინტერნეტის" და „ინფორმაციის" დამუშავებისას კონტექსტ მაგალითის სვეტში შინაარსი შეცდომითაა შევსებული, მოთავსებული უნდა იყოს საკითხების

სვეტში, ასევე მე-4, მე-5 კლასებში არეულია სვეტების: კონტექსტ მაგალითი, დავალების იდეა და საკითხების შინაარსი. სასწავლო პროცესისთვის და კომპლექსური დავალებებისთვის რესურსები მეტწილად მოცემულია, თუმცა ზოგიერთ მათგანში ბმული არ მუშაობს (მაგ: მე-3 კლასი, ცნების „კომპიუტერის აგებულება“ დამუშავებისას არ მუშაობს მეორე სასწავლო რესურსის მითითებული ბმული, მე-5 კლასი, ცნება“ალგორითმის“ დამუშავებისას არ მუშაობს მითითებული რესურსის მესამე ბმული , მე-6 კლასი- ცნება ალგორითმის დამუშავებისას კონტექსტ მაგალითის ბმული არ მუშაობს). **ესთეტიკის კათედრის** მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ნათლად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული გზა. თემების, საკითხების, რესურსების სახით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

გასაუბრებაზე პედაგოგებმა გამოხატეს მზაობა, რომ სასწავლო წლის დასაწყისისთვის გადაამუშავებდნენ კურიკულუმს და შენიშვნებს გაითვალისწინებდნენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით წლიური კურიკულუმები დაგეგმილია სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით, იკითხება თემები (საკითხები), იკითხება ძირითადი რესურსები, კონტექსტ მაგალითები. ჩანს, რომ კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირდება სასწავლო პროცესი. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტული ტიპის აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის და ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას. **მათემატიკის კათედრის** მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალით გასართობი პარკის დაგეგმარების მაგალითზე, ასევე მოცემულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მე-7 კლასში მათემატიკაში, დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციით ასევე გამოიგზავნა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიც კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, სადაც ასევე იკითხება შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა მკვიდრ წარმოდგენებთან. აქედან გამომდინარე, გლობალური ფუნქციური სასწავლო უნარები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესში ჩანს დიფერენცირებული მიდგომები: გარემო(ადაპტირებული გარემო დანართი 73, დანართი 76), პროცესი, შინაარსი, პროდუქტი. წარმოდგენილი კურიკულუმით პედაგოგის მიერ შემუშავებული კომპლექსური დავალების პირობით მოსწავლეებს ეძლევათ კომპლექსურ დავალებებში ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას სხვადასხვა არჩევანის შესაძლებლობა, ასევე საბოლოო პროდუქტიც შეუძლიათ წარმოადგინონ მრავალფეროვანი სახით: (ნახატი, თამაში, პრეზენტაცია, ანიმაცია, პროექტი, დიაგრამა და ა.შ.) მოწოდებული მასალიდან ჩანს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს დიფერენცირებული /ინკლუზიური მიდგომები, სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება , რომ გაწერილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისა და შეფასების მეთოდოლოგია. წარმოდგენილ ინდ. გეგმაში გაწერილია სსსმ მოსწავლეზე მორგებული აქტივობები სხვადასხვა საგნების მიხედვით, თუმცა კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში არ იკითხება ასეთი აქტივობები. ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ სსსმ მოსწავლე ამჟამად არ ჰყავთ, თუმცა მათ აქვთ გამოცდილება და მზაობა მათთან მუშაობის. პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ზოგადად ახდენენ დიფერენცირებას მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად და ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით ახდენენ მათთვის დავალებების შერჩევას. დოკუმენტაციაში არ იკითხება, სწავლებაში მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.გასაუბრებისას, მასწავლებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ განმსაზღვრელი (V-VI) და განმავითარებელი(I-VI) შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტს. შეფასება ემსახურება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა მიღწევების დონის დადგენას. უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლის უმრავლესობა ზოგადი ხასიათისაა და საჭიროებს დახვეწას. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასების კავშირი გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან მიმართებით და გამოთქვამენ მზაობას ამ მიმართულებით გააგრძელონ მუშაობა. **ესთეტიკის კათედრის** მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მორგებულია კონკრეტულ საგნობრივ საკითხებზე. მათში მკაფიოა ცნება/ქვეცნებებთან მიმართება, რაც განაპირობებს მათ გამოყენებას, როგორც ვალიდური ინსტრუმენტისა, მოსწავლეთა მიღწევების დადგენის პროცესში. მოსწავლეთა თვითრეფლექსიის შედეგების ანალიზისთვის კათედრა იყენებს თვითშეფასების კითხვარებს, რომლებიც ასახავენ სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოთქვეს სურვილი თვითშეფასების კითხვართან ერთად აწარმოონ თვითშეფასების რუბრიკებიც, რაც დაეხმარებათ გრძელვადიანი მიზნების შეფასებისთვის. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებით საფეხურზე (მე და საზოგადოება ჩვენი საქართველო) გამოიყენება განმავითარებელი და განმსაღვრელი შეფასება. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმეტაციაში არ იყო საზოგადოებრივი მეცნირებების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. თუმცა, იყო რამდენიმე რუბრიკა სხვა კათედრებში შემავალი საგნებიდან. **სპორტის კათედრის** წევრებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოყენებულ განმავითარებელ კომენტარებზე, ასევე მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში სემესტრის ბოლოს გამოყენებულ შეფასებაზე, რომელიც ეხმარება მათ დაადგინონ მოსწავლის ცოდნა საკითხებთან მიმართებით, გამოავლინონ ძლიერი და სუსტი მხარეები. თუმცა კათედრას შესაბამისი დოკუმენტი, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი

შეფასების რუბრიკები არ წარმოუდგენია. შესაბამისად, ვერ ვადგენთ გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით როგორ მოხდება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება. **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სპორტში, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.მასწავლებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარება და მიღებული შედეგების ასახვა საგნობრივ კურიკულუმებში. **ესთეტიკის კათედრის** წევრთა ინტერვიუდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება კათედრას არ ჰქონია, თუმცა, შუალედური მიზნების რეალიზება ხდებოდა სახელმძღვანელოში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელების გზით. გაკვეთილების დაგეგმვისას ხდებოდა გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაც. რაც შეეხება შეფასებას, უმეტესად მიმართავდნენ მყისიერ, ზეპირი განმავითარებელი შეფასების მეთოდს. ზემოთ ჩამოთვლილი გამოცდილების საფუძველზე, კათედრამ შეიმუშავა 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი,რომელშიც ლიგიკურად ჩამოაყალიბა თემები, საკითხები, გრძელვადიანი მიზნები. ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოს მიხედვით დაგეგმეს კომპლექსური დავალებებიც. შეფასების ზოგადი ინდიკატორებიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბეს კონკრეტულ საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკები. წინარე გამოცდილების ანალიზის მიზნით, მასწავლებლებმა წარადგინეს კათედრის ოქმები, სადაც განხილულია შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ და განავითარებენ ამ გამოცდილებასაც, ვინაიდან იგი იძლევა სწავლის შედეგების შეფასების კარგ შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** მასწავლებლების ინფორმაციით, დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება , რაც ჩანს სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში. სკოლამ წარმოადგინა დაყებითი საფეხურის კურიკულუმები, რომელშიც გაწერილი იყო კომპლექსური დავალებები. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით ასევე სკოლა აკეთებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, საგნის პედაგოგების წლიურ და სემესტრულ ანგარიშებს. ხოლო ანლიზის სააფუძველზე გამოკვეთენ სუსტ და ძლიერ მხარეებს, ამის შემდგომ კი იგეგემება მომავალი წლის კურიკულუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 11- შეფასების რუბრიკები (უცხოური ენები)
- დანართი 15- თვითშეფასების რუბრიკა
- დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმები
- დაწყებით საფეხური კურიკულუმი- ხელოვნება; მუსიკა;

- განმავითარებელი შეფასება- ხელოვნება; მუსიკა;
- მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარი
- ესთეტიკის კათედრის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კურიკულუმით დაგეგმილ სასწავლო პროცესში მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებების გააზრება უხდება სავალდებულო თემებზე დაყრდნობით, საკითხების საგნობრივ ცოდნასთან და ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებით. მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, საკლასო პროექტები, ღონისძიებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში, შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ასევე სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ციფრული განვითარების გეგმა, სადაც ჩანს სკოლის მიერ გაკეთებული აქცენტები ტექნოლოგიების ფართო გამოყენებაზე სასწავლო პროცესებში, ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა, რაც შესაბამისად, ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებითი პროცესში ჩართულობას. სკოლამ ასევე წარმოადგინა მე-4 კლასში განხორციელებული ინტეგრირებული პროექტი საგნებში: ქართული, ხელოვნება „ჩემი ეკოლოგიური ნაკვალევი“ სადაც ჩანს , რომ აქტივობები ხორციელდება ტექნოლოგიების გამოყენებით (მაგ. პოსტერების და ბარათების შესაქმნელად ინფორმაციის მოძიება განხორციელდა ინტერნეტის დახმარებით) და აქტიურადაა ჩართული შემოქმედებით პროცესში. დოკუმენტაციაში ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოს არ ახლავს მატრიცები, შეფასების კრიტერიუმები, სოლო ტაქსონომია. თუმცა, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ არის მზაობა, მიმდინარეობს მუშაობა და სასწავლო წლის დასაწყისისთვის ეს პრობლემა მოგვარდება. დამატებითი დოკუმენტაციით გამოგზავნილ იქნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა დავალებისთვის ,,ავტო რბოლა“ – პროგრამა Scratch - ის გამოყენებით. ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრებით სკოლა არ იყო ჩართული პირველ ეტაპზე ზოგადი განათლების რეფორმაში და შესაბამისად ვერ ახორციელებდა კომპლექსურ დავალებებს. 2022-2023 სასწავლო წელს კათედრის შუალედური მიზნები განისაზღვრებოდა კომპლექსური ტიპის დავალების შექმნით, რომლებშიც გამოყენებული იყო მრავალფეროვანი რესურსები, ცნება/ქვეცნების დამუშავებაზე ორიენტირებული აქტივობები, ცხოვრებისეული კონტექსტებში გააზრებული დავალებები, რაც იძლეოდა მოსწავლის აქტიურ სასწავლო პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლეებში, შემოქმედებით უნარების განვითრებას ხელს უწყობს კათედრის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები , ერთობლივი პროექტები (გამოფენა „შემოდგომის ფერები“, **სპორტის და ესთეტიკის** კათედრის ერთობლივი პროექტი თემაზე ქართული ფოლკლორი). ახალი სასწავლო წლისათვის დაგეგმილია კომპლექსური დავალებებიც, რომლებშიც აქცენტი მოსწავლის აქტიურ ჩართულობაზე, შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენაზეა გაკეთებული. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** დაწყებით საფეხურზე სკოლაში არ ხორციელდებოდა კომპლექსური დავალებები. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) კურიკულუმები მოსწავლეს აძლევს საშუალებას ჩართული იყოს აქტიურ შემოქმედებით პროცეში.მაგ. მე-3 კლასის საგან მე და საზოგადოება კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეა: აირჩიე და მოამზადე პრეზენტაცია შენი საყვარელი პროფესიის შესახებ . მოამზადე გენეოლოგიური ხე შენი წინაპრების შესახებ და წარუნგინე კლასს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი კურიკულუმები კომპლექსური დავალებებზეა დაფუძნებული, რომელთა პირობები შექმნილია ისე, რომ ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. დოკუმენტაციიდან ასევე იკითხება, რომ განხორციელდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემების მიხედვით ინტეგრირებული საგნობრივი პროექტი, რომლის რეფლექსია და შეფასების კრიტერიუმებიცაა წარმოდგენილი. ასევე მოცემულია ერთ-ერთი გაკვეთილის ფარგლებში გამოყენებული განმავითარებელი

შეფასების ინსტრუმენტი -გასასვლელი ბარათების ნიმუში, მასწავლებელთა რეფლექსიები ჩატარებულ გაკვეთილებსა და განხორციელებულ პროექტებზე, სკოლის თვითშეფასების კითხვარში მითითებულია, რომ ამ სასწავლო წელს იგეგმება სასკოლო პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“. **ტექნოლოგიების** კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების მხოლოდ იდეები, არ არის მატრიცები, სოლო ტაქსონომია, ასევე არ არის მტკიცებულებები პროექტებში მონაწილე მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ნამუშევრების სახით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ იმუშავებენ ერთობლივად ამ მიმართულებით. **ესთეტიკის კათედრის** წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, პედაგოგებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები თუ როგორ განსაზღვრავენ წინარე გამოცდილებას, რა მეთოდებს იყენებენ მისი გააქტიურებისთვის- იქნება ეს გონებრივი იერიში, თუ ინტერაქტიური სწავლების სხვა ფორმები. აღნიშნეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყოველივე ეს, მოსწავლის პროვოცირებისთვის, მოტივაციის გაზრდისთვის. **სპორტის** კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები კონტექსტ მაგალითზე დაყრდნობით ითვალისწინებს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას და ეხმარება მოსწავლეს შეძენილი ცოდნის დამუშავებასა და გააზრებაში. განსახორციელებელი კომპლექსური დავალება, რომელიც ამ ეტაპზე კურიკულუმებში პირობის სახით გვაქვს წარმოდგენილი და ითვალისწინებს მოძრავ თამაშებს, ფესტივალს, პროექტის მომზადებას, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას და შესწავლილი საკითხების წარმოჩენას გულისხმობს. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს სასწავლო პროცესში შეძენილი ცოდნის მოძრავ თამაშებში გამოყენების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3..შესწავლილი დოკუმენტაციით, პედაგოგების ინტერვიუირებითა და შეფასების რუბრიკების ანალიზით გამოიკვეთა, რომ სკოლაში, სწავლა - სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი კითხვები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე. კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები შეძლებენ სწავლის პროცესზე დაკვირვებასა და რეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ. დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები, სადაც გამოიკვეთებოდა მეტაკოგნიცია. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მათ შემუშავებასა და გამოყენებას. **უცხოური ენების** კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეები ხელს შეუწყობს მოსწავლეებს თავად აწარმოონ საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი და წაახალისებენ მოსწავლის ცნობისმოყვარეობას. კათედრას არ წარმოუდგენია

სრულად გაწერილი კომპლექსური დავალების პირობები, ბარათები ან კითხვები, თვითშეფასების რუბრიკები რომლებშიც გამოიკვეთებოდა მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობა. თუმცა, გასაუბრებისას, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გააზრებული აქვთ მათი მნიშვნელობა და ინტენსიურად მუშაობენ ამ მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება დოკუმენტაციით წარმოდგენილ კურიკულუმებში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები დაეუფლებიან თეორიულ ცოდნას, შეეძლებათ მისი რეალიზება და რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური ბუნების დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის მოქმედებაში გადატანას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.დაწყებითი საფეხურზე კურიკულუმებში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოხდება შემუშავებული კურიკულუმების სრულყოფა, ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალება უკავშირდება გრძელვადიან მიზნებს-ცნებებს. დაიხვეწება ქვეცნების შერჩევა და საგაკვეთილო პროცესში დამუშავება. შესაბამისად, მოსწავლეებს მიეცემათ კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა მოხდეს ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- ღონისძიებების განრიგი დანართი-5,
- დასწრების ფორმა, რეფლექსია, უკუკავშირი დანართი-6
- დაწყებითების ოქმი დანართი -9,

- პროექტი-„ჩემი ეკოლოგიური ნაკვალევი“-დანართი-8
- ნახატების გამოფენა დანართი-10,
- თვითშეფასების კითხვარი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა პუნქტი2,4,5,6,9,10
- ციფრული განვითარების გეგმა დამატებითი დოკუმენტაცია-კათედრა-ისტ
- კურიკულუმები;
- სასწავლო აქტივობები (ფოტოები)
- https://www.facebook.com/profile.php?id=100015542329421

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება კომპლექსურებში წარმოდგენილი აქტივობების კლასში განხორციელების შედეგად. კათედრასთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების პრინციპი მათთვის ცნობილია, წარმოდგენილი ჩარჩოები სამუშაო ვაერსიებია და სწავლის დაწყებამდე აპირებენ დახვეწასა და სრულყოფას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ხდება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.თვითშეფასების განაცხადის თანახმად ხდება კომპლექსური

დავალებების ანალიზი, რაც მათ ეხმარება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებაში. მნიშვნელოვანია ასევე ქვეცნებების განსაზღვრა, რომელსაც უკავშირდება საკითხები და ქვესაკითხები.ზოგ შემთხვევაში სრულად არ არის გაწერილი ცნებები და ქვეცნებები. თუმცა, ინტერვიუში გაჟღერდა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში გამოიკვეთება ქვეცნებები, რითაც დაზუსტდება ქვესაკითხები. წარმოდგენილ კურიკულუმებში დაკმაყოფილებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა - სწავლა-სწავლების პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე; სასწავლო საკითხების შერჩევა და დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რაც კურიკულუმებშია განსაზღვრული სამიზნე ცნებების სახით. შესაბამისად თემა, საკითხები და ქვესაკითხები, რაც საუძველს ქმნის სასწავლო პროცესი წარმართოს შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. რაც იქნება გარანტი იმისა, რომ სასწავლო პროცესმა უზრუნველყოს სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილია სასწავლო თემები, საკითხთა კლასტერები, სამიზნე ცნებები.მაგ. საგანი მე და საზოგადოება -თემა: **ჩემი ოჯახი.** ცნება:**ზრუნვა**. კომპლექსური დავალება: **პრეზენტაციის მომზადება ჯანსაღი ცხოვრების წესზე.** პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოხდება ცნების მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. სკოლამ წარმოადგინა კათედრის წლიური ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ პედაგოგებმა სასწავლო პროცესში განახორციელეს სხვადასხვა აქტივობა მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად, წარმოდგენილია დამრიგებლების მიერ მოსწავლეებთან ერთად შემუშავებული ქცევის წესები, რომელიც ურთიერთობის უნარებს უყალიბებს მოსწავლეებს, ზრდის მათში პასუხისმგებლობის გრძნობას, სოციალურ ცნობიერებას. მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას სკოლაში ხელს უწყობს „მკითხველთა კლუბისა“ და „ინტელექტუალური კლუბის“ ფუნქციონირება, რონდელის ფონდის მიერ ჩატარებული ლექცია თემაზე- „კიბერჰიგიენა და განათლების საშუალებები”. ყველა ეს აქტივობა ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ იმავე თემების განხილვა გრძელდება საგაკვეთილო ფორმატშიც. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე, შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების სხვადასხვა ფორმა, აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. **ქართული ენის კათედრის** ანგარიშში განხილულია შეფასების კრიტერიუმები და აღნიშნულია ის ფაქტი, რომ სასწავლო პროცესში „იყენებდნენ შეფასების მრავალმხრივ მეთოდებს“. კათედრის ოქმში განხილულია შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებს. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სავალდებულო თემებთან მიმართებით, დააკვირდებიან მოსწავლეებს, მოახდენენ დიაგნოსტიკური წერის ანალიზს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის აირჩევენ სადიაგნოსტიკო წერის მეორე ინსტრუმენტს. მიუხედავად იმისა, რომ **სპორტის** კათედრის წევრები საუბრობენ სასწავლო პროცესში გამოყენებულ განმავითარებელ შეფასებაზე და შესაბამისი დოკუმენტის არსებობაზე, რომელიც მოსწავლის სასაწავლო პროცესში ჩართულობას ააქტიურებს და ეხმარება მათ წინსვლასა და განვითარებაში, დოკუმენტის რამდენჯერმე გამოთხოვის მიუხედავად, მოწოდება ჩვენამდე ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე, ვერ მოვახდენთ იმის გარკვევას, რამდენად იქნება შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სპორტში, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. კომპლექსური დავალების პირობას საგნობრივი საკითხის დაანონსებისთანავე სკოლა აცნობს როგორც მოსწავლეს, ასევე, მის მშობელს. ასე მაგალითად, დაწყებით საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა 1-ლი და მე-2 კლასის კურიკულუმები, რომლებსაც თან ახლავს კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები. სკოლის მიერ მოწოდებულ კათედრის წლიურ ანგარიშში იკითხება, რომ შეფასების კრიტერიუმები სკოლამ გახადა ყველასათვის ხელმისაწვდომი და თვალსაჩინო. ის გამოკრულია სასკოლო საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილებში. ამდენად, შეფასების სისტემა ცნობილი და გაზიარებულია მთელი სასკოლო საზოგადოებისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება, რომ „ შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფის საშუალებაცაა, რომ შეფასების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილება“. ეს საკითხები განიხილება მშობელთა კრებებზე, კათედრაზე, პედსაბჭოს სხდომებზე. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა უფრო მეტ ჩართულობას შეფასების ინსტრუმენტების დახვეწასა და გამოყენებაში, რაც

გაზრდის შეფასების სისტემის ხარისხს მეტი ობიექტურობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით. სკოლა აღნიშნავს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კათედრები მუშაობენ შეფასების რუბრიკების შექმნაზე. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას ითვალისწინებენ რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, ობიექტური, სანდო და გამჭვირვალე და მოხდეს მისი გამოყენება მიზნის შესაბამისად. სხვადასხვა საგნობრივ კათედრებზე ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება კონკრეტული თემის ფარგლებში. მოსწავლეებმა გააზრებულად იციან როგორ და რაში ფასდებიან, ასევე, მასწავლებლები ახდენენ რუბრიკების შემუშავებას მოსწავლეთა თანამონაწილეობით, რათა მეტად ჰქონდეთ მათ ობიექტურობის განცდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა სპორტის მიმართულებით კათედრას შეფასების რუბრიკები არ წარმოუდგენია, შესაბამისად ვერ ვისაუბრებთ მის გამჭვირვალობას, სანდოობას, ვალიდურობასა და ობიექტრობაზე. **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სპორტში, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას ამ ეტაპზე აქვს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზის, შემაჯამებელი დავალებების ანგარიშის ფორმების შექმნის, კათედრის წლიური ანგარიშის გამოცდილება. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში იკითხება, რომ კათედრები გარკვეული პერიოდულობით იკრიბებიან და განიხილავენ შემაჯამებელ დავალებებს, აანალიზებენ შედეგებსა და შეფასების სისტემებს. კათედრის დებულებაში ცალსახად გაწერილია მასწავლებლის მოვალეობა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების შეფასების ინსტრუმენტების ანალიზისა. სკოლა სწავლობს თითოეული მოსწავლის მიღწევების დინამიკას შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. სკოლას შესწევს უნარი, შეიმუშაოს და დანერგოს სასწავლო პროცესში შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი დოკუმენტი ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რაც ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. შეფასებისა და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრივი სტანდარტების შედეგები თუ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალსიწინებული ფუქნციურ კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები. სკოლას არ აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

6.სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა პირადი საქმეების შენახვას გარკვეული წლების განმავლობაში, შესაბამისად პირად საქმეში ინახება ინფორმაცია მოსწავლეთა წლიური შეფასების შესახებ. ასევე, სკოლა შეფასებასთან დაკავშირებით მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას აწარმოებს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ამ ეტაპზე სკოლას შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვის ვალდებულების დოკუმენტი გაწერილი არ აქვს. თუმცა, სკოლა აპირებს მომავალი წლიდან უზრუნველყოს შემაჯამებელი სამუშაოების, როგორც მტკიცებულებების შენახვა, რასაც გაწერს დოკუმენტის სახით .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კათედრის წლიური ანგარიში;
- „მკითხველთა კლუბი“;
- „ინტელექტუალური კლუბი“
- ქცევის წესები
- კლასის საათი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებას, გრძელვადიანი სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, სადაც გაწერილია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები აქვს მზაობა სასწავლო პროცესში შექმნას პირობები მომღებლობითი და მხარდამჭერი გარემოს შექმნისთვის. რაც გამოიხატება მოსწავლისთვის უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან თავისუფალი და წამახალისებელი გარემოს, სწავლა-სწავლების მაღალი სტანდარტებისა და მასწავლებლებისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების შეთავაზებით. სკოლა იგივე დოკუმენტით აპირებს დაწყებითი, ასევე შესაბამისი საფეხურის მოსწავლეების საჭიროებას შესაძლებლობებს და მოთხოვნებს უპასუხოს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების შესაბამისად. ხოლო ერთწლიანი სასკოლო გეგმით განსაზღვრავს დაწყებითი საფეხურის მისიას და პრიორიტეტად ირჩევს სწავლა სწავლების გზით მოსწავლის ფიზიკურ, გონებრივ, ემოციურ და სოციალურ განვითარებას, სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. სკოლა ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის სკოლაში არსებული რესურსების, როგორიცაა ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საგნების შესაბამისად გათვლილ საგანმანათლებლო რესურსებს რუკა, პლაკატი, ელ. რესურსი, მაგნიტური დაფა, მოდელები და სხვა შეთავაზებას. ხოლო სპეციალური საჭიროების მოსწავლეებს კი სკოლა უქმნის სპეციალურ ადაპტირებული გარემოს. ყოველივე ეს კი გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართება, რაც მასწავლებელთა მხრიდან დიფერენცირებული მიდგომებით გამოიხატება. ასევე სკოლა პრიორიტეტად განსაზღვრავს ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული ჯანსაღი თაობის აღზრდას და ქმნის პირობებს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. შეთავაზებული საგნების სწავლა სწავლებით, პროექტებით სახელოვნებო, საკლუბო თუ სპორტული აქტივობებით სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის ფიზიკური და გონებრივი უნარ-ჩვევების განვითარებას, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემას. ხოლო საგნების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები, რომლებიც თავის მხრივ კომპლექსური დავალებების განხორციელებას მოიაზრებს, ასევე მასწავლებლების მიერ შეთავაზებული დიფერენცირებული მიდგომები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და

შესაძლებლობებზეა გათვლილი, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, მოსწავლეებთან ერთად შექმნილი ქცევს წესები მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას და სასწავლო პროცესში ჩართულობას განაპირობებს. ყველაფერი ეს და ასევე სკოლის სოციალურ გვერდზე გამოქვეყნებული სხვადასხვა სახის აქტივობები, სადაც იკვეთება თანამშრომლობითი, მეგობრული, პოზიტიური დამოკიდებულება სკოლის დონეზე საფუძველია იმისა, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.დაწესებულება აცნობიერებს, რომ სკოლის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა და ჯანსაღი კომუნიკაცია და ამ მიმართულებით სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრავს კათედრების მუშაობის პრინციპებს, რომელიც თავისთავად თანამშრომლობას, კომუნიკაციას, სამუშაო გამოცდილების გაზიარებას მოიაზრებს, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას. სკოლა ამის დასტურად წარმოგვიდგენს საგნობრივი კათედრების ოქმებს, სადაც ხდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, როგორიცაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების შერჩევა, სამოქმედო გეგმის, შეფასების რუბრიკების შემუშავება, გაკვეთილებზე დასწრების განრიგსა და და სხვა საკითხებს. სკოლის მიერ ასევე წარმოდგენილია დოკუმენტაცია(ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის გუნდის ბრძანება, დებულება, კათედრის ოქმები, ურთიერთდასწრების განრიგი, რეფლექსიები, გაცემული უკუკავშირები, მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი, მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება და ა. შ) რომელიც სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერ გუნდის, კრიტიკული მეგობრის არსებობასა და მუშაობას, სასკოლო საზოგადოებას შორის თანამშრომლობას, კომუნიკაციას ადასტურებს. ყველაფერი ეს კი საფუძველს გვაძლებს, რომ ამ მიმართულებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას გააზრებული აქვს, რომ თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის, სასკოლო გარემოში აღიარება, პატივისცემა, ნდობა, ჯანსაღი უკუკავშირი, ზრუნვა სკოლის განვითარებაზე პოზიტიურ კლიმატს განაპირობებს სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლა წარმოდგენილი გრძელვადიანი სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე განსაზღვრავს სკოლის მომავლის ხედვას და ორიენტირებას აკეთებს მყარ და მუდმივ განვითარებაზე მყოფ ცოდნის კერაზე. თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად აპირებს ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. ხოლო მისიის შესაბამისად აქცენტს აკეთებს სწავლა

სწავლების მაღალ სტანდარტებზე, ზრუნვა მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე, მოსწავლეებისთვის იმ უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, რომლებიც მისცემს მათ შესაძლებლობას არსებული ცოდნა, გამოცდილება და მიღწევები გამოიყენონ მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. დაწესებულება ამავე დოკუმენტით ასევე აპირებს რომ სასკოლო სასწავლო გეგმა მოარგოს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს, შემუშავებული შეფასების სისტემა იყოს გამჭვირვალე, სანდო, ვალიდური და ობიექტური. სასკოლო სასწავლო გეგმა განვლილი წლის ანალიზის საფუძველზე შეცვალოს ყოველწლიურად ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის სასკოლო საზოგადოებას შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვოს შესაბამისი რესურსით და მოსწავლეს შესთავაზოს საჭიროების შესაბამისი ადაპტირებული გარემო. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ სხვადასხვა საკლუბო, საპროექტო, სპორტულ, სახელოვნებო ღონისძიებებზე, რომლებიც გაზიარებულია სკოლის სოციალური გვერდის საშუალებით, რომლებიც ასევე განაპირობებს პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა
- მოსწავლეებთან ერთად შექმნილი ქცევის წესები
- მშობელთა კრების ოქმი
- ხარისხის განვითარებისა პროფესიული მხადაჭერის ჯგუფის ბრძანება
- კათედრის ოქმები
- კურიკულუმები
- ურთიერთდასწრების გაკვეთილები
- ადაპტირებული გარემო

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ამ ეტაპზე სკოლას აქვს ზოგადი ხედვა სასკოლო კურიკულუმის დანერგვის, მონიტორინგის და შეფასების პროცესებთან მიმართებაში, თუმცა, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში არ არის სრულყოფილად ასახული. ვიზიტის დროს დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე სკოლაში მონიტორინგი ხორციელდება კათედრისა და ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ. მიმდინარე სამუშაო პროცესებზე დაკვირვებით, წინასწარ შემუშავებული ინდიკატორების/კრიტერიუმების მიხედვით აფასებენ თითოეული პედაგოგის გაკვეთილებს, აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლის პერსონალმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ მომავალში მოხდება მონიტორინგის სისტემის გაწერა, დაგეგმილია დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ შევსებული თვითშეფასების დოკუმენტაციიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს პერსონალთან გასაუბრების, სადამრიგებლო პროგრამის და დაწყებითი კათედრის პორთფოლიოს გაცნობის შედეგად, ნათელი გახდა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება (მაგალითად, კათედრის სხდომებზე ერთად განიხილავენ ჩატარებული შემაჯამებლების შედეგებს, ერთობლივად სახავენ შედეგების გაუმჯობესების სტრატეგიების წარმოებას და სხვ.), ასევე ხედვა და მზაობა იმისთვის, რომ მომავალში დაიხვეწოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შეფასების მონიტორინგის სისტემა. წარმატებული შედეგების მისაღწევად სკოლა ეფექტურ გზად მიიჩნევს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და მათთან უკუკავშირს, რათა მაქსიმალურად მოხდეს მათი ინტერესებისა და საჭიროებების გამოვლენა და მაქსიმალური მხარდაჭერა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში და თანდართულ დოკუმენტებში და აგრეთვე, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალში გეგმავს და მზაობას აცხადებს იმისათვის, რომ გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები, გააუმჯობესოს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი, დახვეწოს მეთოდოლოგია და შესაბამისი ინსტრუმენტები, დასახოს შეფასებისა და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....
.....

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს მრავალფეროვან წყაროებს, როგორც საკლასო ,ისე სასკოლო დონეზე,რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება , რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ ,რაც თავის მხრივ უადვილებს მასწავლებელს დაინახოს მოსწავლის განვითარების დინამიკა,ასვე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას, ეცნობიან მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ნერგავენ პრაქტიკაში. აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ და განვითარდნენ ამ მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ინტერვიუდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, შემაჯამებელი სამუშაოები, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები, ან პრეზენტაციები; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი წლისთვის გაიწერება შეფასებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებული.**

3.მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებენ:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის).

- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს, სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი სამუშაოს შეფასების რუბრიკა;
- შეფასების რუბრიკები -ზოგადი (პრეზენტაციის, დისკუსიის....)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს რა მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას, მათზე მიემართება დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. პედაგოგებს გააზრებული აქვთ რომ დაგეგმვის პროცესში გაკეთებული მიგნებები, რეფლექსიის შედეგები, გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინტერვიუს დროს დადგინდა რომ დაწყებითი საფეხურის **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) პედაგოგებმა ერთობლივად იმუშავეს 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებზე. ახალ კურიკულუმზე მუშაობისას გაითვალისწინეს წინა წელს მიღებული გამოცდილება, მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები. პედაგოგებს გააზრებული აქვთ რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვით, აღნიშნული პროცესი ზოგადი სახით მოიცავს 4 ფაზას: დაგეგმვა, განახორციელება,მონიტორინგი და რევიზია. საბაზო საფეხურის **უცხოური ენების** კათედრის წევრები სასკოლო კურიკულუმის შემუშავებას იწყებენ წინა წლის სასწავლო პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. ამ პროცესში ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად მიიჩნევა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების გათვალისწინება. შედეგების ანალიზი გათვალისწინებული იქნება საბოლოო ვარიანტში, რომელიც მიიღება 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით, ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. იგი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. უპირატესობა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს ენიჭება, მათ ასკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. გასაუბრებისას პედაგოგებმა მოიყვანეს შესაბამისი მაგალითებიც. აღინიშნა, რომ მათ აქვთ

აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან და პედაგოგებთან და კურიკულუმის დაგეგმვისას ისინი ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს, მოსაზრებებს და გამოცდილებას და ნერგავენ საკუთარ პრაქტიკაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით. როგორც **უცხოური ენების** მასწავლებლებთან გასაუბრებიდან და კათედრის ოქმებიდან ირკვევა, პროცესში ჩართულია კათედრის თითოეული წევრი და სკოლის ადმინისტრაცია, გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი და ინტერესები. პედაგოგები ერთობლივად განიხილავენ კურიკულუმში შემავალ საკითხებს, ხდება ისეთი კომპლექსური დავალებების შერჩევა, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს და შეხედულებებს. კათედრას არ აქვს კომპლექსური დავალებების შექმნის და განხორციელების დიდი გამოცდილება, მაგრამ, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მათ გაითვალისწინეს მხარდამჭერი ქოუჩების რჩევები და მათ მიერ გაზიარებული მასალები და მათზე დაყრდნობით შეიმუშავეს საბაზო საფეხურის კურიკულუმები. **ხელოვნების** და **მუსიკის** კურიკულუმიებში, საბაზო საფეხურზე გასული სასწავლო წლის აკადემიური მიღწევების საფუძველზე განსაზღვრულია კლასის დონე, თემები და კომპლექსური დავალებების რაოდენობა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხები, ქვესაკითხები. მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს წარმოდგენილი მასალის სიზუსტეს. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. გასაუბრებისა და კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია; სასკოლო სივრცეში განთავსებული საინფორმაციო დაფები; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმები;
- დანართი-1.1.1- სტრატეგიული გეგმა 2022-28 წწ;
- დანართი -1.2.1- პედსაბჭოს ოქმი N1 (სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული 2022-23 სასკოლო სასაწავლო გეგის დამტკიცება)
- დანართი- 1.2.1 - სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 (სასკოლო და სტრატეგ. გეგმების განხილვა და შეთანხმება)
- დანართი- 1.2.1- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საფეხურებრივი საგნის სტანდარტები და მოთხოვნათა რეალიზების გზები ნაჩვენებია მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან გამომდინარე კომპლექსური დავალებების სახით, სწავლის შედეგები ფორმულირებულია სამიზნე ცნებების სახით. გამომდინარე აქედან, შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას კათედრა ითვალისწინებს წინა წლების შედეგების ანალიზს, შემუშავებულ

რეკომენდაციებს და პრობლემების გადაჭრის გზებს. აღინიშნა, რომ უპირატესობას ცხოვრებისეულ კონტექსტზე აგებულ კომპლექსურ დავალებებს ანიჭებენ, რადგან მოსწავლე ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მიიღებს, განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდება კურიკულუმების დახვეწა და ყველა საჭირო შესწორების შეტანა. **ესთეტიკის კათედრის** მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ნათლად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული გზა. თემების ,საკითხების, რესურსები სახით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** წევრთა ინფორმაციით წლიური კურიკულუმები დაგეგმილია სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით, იკითხება თემები (საკითხები), იკითხება ძირითადი რესურსები, კონტექტს მაგალითები. ჩანს, რომ კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირდება სასწავლო პროცესი. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტული ტიპის აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის და ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას. მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალით "გასართობი პარკის დაგეგმარება"-ს მაგალითზე, ასევე მოცემულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მე-7 კლასში მათემატიკაში, დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციით გამოიგზავნა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიც კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, სადაც ასევე იკითხება შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა მკვიდრ წარმოდგენებთან. დოკუმენტაციაში ასევე იკითხება გაკვეთილზე დასწრების ფორმა, მე-9 კლასში ჩატარებულ მათემატიკის გაკვეთილზე მასწავლებლის რეფლექსია, უკუკავშირი (დანართი 6) , სადაც მასწავლებელი გამოყოფს გაკვეთილის ძლიერ მხარედ ჯგუფურ მუშაობას. აქედან გამომდინარე, გლობალური ფუნქციური სასწავლო უნარები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესში ჩანს დიფერენცირებული მიდგომები: გარემო(ადაპტირებული გარემო დანართი 73, დანართი 76), პროცესი, შინაარსი, პროდუქტი. წარმოდგენილი კურიკულუმით პედაგოგის მიერ შემუშავებული კომპლექსური დავალებების პირობით მოსწავლეებს ეძლევათ კომპლექსურ დავალებებში ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას სხვადასხვა არჩევანის შესაძლებლობა, ასევე საბოლოო პროდუქტიც შეუძლიათ წარმოადგინონ მრავალფეროვანი სახით: (ნახატი, თამაში,

პრეზენტაცია, ანიმაცია, პროექტი, დიაგრამა და ა.შ.) მოწიდებული მასალიდან ჩანს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს დიფერენცირებული /ინკლუზიური მიდგომები, სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება , რომ გაწერილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის და შეფასების მეთოდოლოგია. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სსსმ მოსწავლე ამჟამად არ ჰყავთ, თუმცა მათ აქვთ გამოცდილება და მზაობა მათთან მუშაობის. ედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ზოგადად ახდენენ დიფერენცირებას მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად და ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით ახდენენ მათთვის დავალებების შერჩევას. დოკუმენტაციაში იკითხება სწავლებაში მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.**უცხოური ენების კათედრის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ მოსწავლეთა შეფასებისთვის მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტს. შეფასება ემსახურება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა მიღწევების დონის დადგენას. **უცხოური ენების კათედრამ** წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ზოგადი ხასიათისაა და საჭიროებს დახვეწას. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასების კავშირი გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან მიმართებით და გამოთქვამენ მზაობას ამ მიმართულებით გააგრძელონ მუშაობა. **ესთეტიკის კათედრის** მიერ წარმოადგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მორგებულია კონკრეტულ საგნობრივ საკითხებთან. მათში მკაფიოა ცნება/ქვეცნებებთან მიმართება, რაც განაპირობებს მათ გამოყენებას, როგორც ვალიდური ინსტრუმენტისა, მოსწავლეთა მიღწევების დადგენის პროცესში. მოსწავლეთა თვითრეფლექსიის შედეგების ანალიზისთვის კათედრა იყენებს თვითშეფასების კითხვარებს, რომლებიც ასახავენ სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** კათედრამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას შეფასების კომპონენტი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს, რამდენადაც დანართების (დანართი 3 -საშუალო საფეხური, დანართი6-საბაზო) სახით გადმოგზავნილია სხვადასხვა კათედრის, მათ შორის მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები , ასევე აღსანიშნავია მე-7კლასის კომპლექსური დავალება და მასში, გამოყენებული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი-„გასასვლელი ბარათის“ შევსებული ფორმა, შეფასების სქემა და ასევე მასწავლებლის რეფლექსია (დანართი 7. საბაზო), აღსანიშნავია ასევე საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალით "გასართობი პარკის დაგეგმარება"-ს მაგალითზე, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მე-7 კლასში მათემატიკაში, შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმა (დანართი2, დანართი3, დანართი7-საშუალო საფეხური) დამატებითი დოკუმენტაციით ასევე წარმოდგენილ იქნა განმსაზღვრელი

და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა საგნებში(მათ შორის კომპიუტერულ ტექნოლოგიებში). სკოლა იცნობს მრავალფეროვან შეფასების ტიპებს და აქვს მზაობა შემდგომში იმუშაოს ამ მიმართულებით. სამომავლოდ მნიშვნელოვანია პედაგოგთა მიერ წარმოდგენილი ზოგადი რუბრიკები დაზუსტდეს კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, რისი მზაობაც აქვთ მასწავლებლებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საბაზო საფეხურზე (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასებას. შეფასებები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი განმსაღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საზოგადეობრივი მეცნიერებების კათედრას მიცა რჩევა შექმნან განმსაღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ 2023-2024 სასწავლო წლის მანძილზე შექმნიან შეფასების რუბრიკებს. ინტერვიუს დროს **სპორტის** მასწავლებლებმა ისაუბრეს საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოყენებულ როგორც განმავითარებელ განმსაზღვრელი შეფასებაზე, რომელიც ეხმარება მათ დაადგინონ მოსწავლის ცოდნა საკითხებთან მიმართებით, თუმცა კათედრას როგორც განმსაზღვრელი ასევე განმვითარებელი, შეფასების რუბრიკები არ წარმოუდგენია. ასევე არ არის განსაზღვრული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით. შესაბამისად ვერ ვადგენთ გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით როგორ მოხდება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება.

სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სპორტში, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ესთეტიკის კათედრის** მასწავლებლებთან ინტერვიუდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება კათედრას არ ჰქონია . შუალედური მიზნების რეალიზება ხდებოდა სახელმძღვანელოში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელების გზით. გაკვეთილების დაგეგმვისას ხდებოდა გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაც. რაც შეეხება შეფასებას, უმეტესად მიმართავდნენ მყისიერ, ზეპირი განმავითარებელი შეფასების მეთოდს. ამ გამოცდილების საფუძველზე კათედრამ შეიმუშავა 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი,რომლებშიც ლოგიკურად ჩამოაყალიბა თემები, საკითხები, გრძელვადიანი მიზნები. სახელმძღვანელოს და სამინისტროს რესურსების მიხედვით დაგეგმეს კომპლექსური დავალებებიც. შეფასების ზოგადი ინდიკატორებიდან ჩამოაყალიბეს კონკრეტულ საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკები. წინარეგამოცდილების ანალიზის მიზნით მასწავლებლებმა წარადგინეს კათედრის ოქმები, სადაც განხილულია შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ აცილებლად გააგრძელებენ და განავითარებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზის პრაქტიკას, ვინაიდან, მათი თქმით, იგი იძლევა სწავლის შედეგების შეფასების კარგ შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების-** საბაზო საფეხურზე დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე

გამოცდილების ანალიზი. რაც ჩანს სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში.სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის კურიკულუმები, რომელშიც გაწერილი იყო კომპლექსური დავალებები. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით ასევე სკოლა აკეთებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, საგნის პედაგოგების წლიურ და სემესტრულ ანგარიშებს. ხოლო ანალიზის საფუძველზე გამოკვეთენ სუსტ და ძლიერ მხარეებს, ამის შემდგომ კი იგეგმება მომავალი წლის კურიკულუმები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 11- შეფასების რუბრიკები (უცხოური ენები)
- დანართი 15- თვითშეფასების რუბრიკა
- საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმები
- საბაზო საფეხური კურიკულუმი- ხელოვნება; მუსიკა;
- განმსაზღვრელი შეფასება- ხელოვნება; მუსიკა;
- მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარი
- ესთეტიკის კათედრის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კურიკულუმით დაგეგმილ სასწავლო პროცესში მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებების გააზრება უხდება სავალდებულო თემებზე დაყრდნობით, საკითხების საგნობრივ ცოდნასთან და ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებით. მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, საკლასო პროექტები, ღონისძიებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში, შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ასევე სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ციფრული განვითარების გეგმა, სადაც ჩანს სკოლის მიერ გაკეთებული აქცენტები ტექნოლოგიების ფართო გამოყენებაზე სასწავლო პროცესებში, ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა, რაც შესაბამისად ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. სკოლამ ასევე წარმოადგინა მე-4 კლასში განხორციელებული ინტეგრირებული პროექტი საგნებში: ქართული, ხელოვნება „ჩემი ეკოლოგიური ნაკვალევი“ (დანართი 8- საბაზისო), სადაც ჩანს, რომ აქტივობები ხორციელდება ტექნოლოგიების გამოყენებით (მაგ. პოსტერების და ბარათების შესაქმნელად ინფორმაციის მოძიება განხორციელდა ინტერნეტის დახმარებით) და აქტიურადაა ჩართული შემოქმედებით პროცესში. დოკუმენტაციაში **ტექნოლოგიების** კურიკულუმის ჩარჩოს არ ახლავს მატრიცები, შეფასების კრიტერიუმები, სოლო

ტაქსონომია. თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ არის მზაობა, მიმდინარეობს მუშაობა და სასწავლო წლის დასაწყისისთვის ეს პრობლემა მოგვარდება. დამატებითი დოკუმენტაციით გამოგზავნილ იქნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა დავალებისთვის ,,ავტო რბოლა" – პროგრამა Scratch - ის გამოყენებით. როგორც კათედრასთან გასაუბრებამ უჩვენა, **უცხოური ენების** მასწავლებლებს მცირე გამოცდილება აქვთ კომპლექსურ დავალებებით სწავლების. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კათედრის წევრებს აქვთ მზაობა და ახალი სასწავლო წლიდან შეუდგებიან კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებას. შერჩეული კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში აქტიური შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ესთეტიკის კათედრის** წევრთა ინფორმაციით, სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში და შესაბამისად ვერ ახორციელებდა კომპლექსურ დავალებებს. 2022-2023 სასწავლო წელს კათედრის შუალედური მიზნები განისაზღვრებოდა კომპლექსური ტიპის დავალების შექმნით, რომლებშიც გამოყენებული იყო მრავალფეროვანი რესურსები, ცნება/ქვეცნების დამუშავებაზე ორიენტირებული აქტივობები, ცხოვრებისეული კონტექსტებში გააზრებული დავალებები, რაც იძლეოდა მოსწავლის აქტიურ სასწავლო პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლეებში ,შემოქმედებით უნარების განვითრებას ხელს უწყობს კათედრის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები , ერთობლივი პროექტები (გამოფენა „შემოდგომის ფერები" , სპორტის და ესთეტიკის კათედრის ერთობლივი პროექტი თემაზე ქართული ფოლკლორი). ახალი სასწავლო წლისათვის დაგეგმილია კომპლექსური დავალებებიც, რომლებშიც აქცენტი მოსწავლის აქტიური ჩართულობაზე, შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენაზე იქნება ორიენტირებული. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის** ინფორმაციით, სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) კურიკულუმებით. წარმოდგენილი კურიკულუმები რომლებშიც ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები მოსწავლეს აძლებს საშუალებას ჩართული იყოს აქტიურ შემოქმედებით პროცეში. მაგ მე-8კლასის საგან მოქალაქეობაში პედაგოგებს შერჩეული აქვთ შემდეგი კომპლექსური დავალება: ფლაერების მომზადება თემის ინფორმირების მიზნით/ წერილი თვითმმართველობას. შემდგომ კი მოსწავლეებმა უნდა გაავრცელონ ფლაერები სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.წარმოდგენილი კურიკულუმები კომპლექსური დავალებებზეა დაფუძნებული, რომელთა პირობები შექმნილია ისე, რომ ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. დოკუმენტაციიდან ასევე იკითხება, რომ განხორციელდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემების მიხედვით ინტეგრირებული საგნობრივი პროექტი, რომლის რეფლექსია და შეფასების კრიტერიუმებიცაა წარმოდგენილი. ასევე მოცემულია ერთ-ერთი გაკვეთილის ფარგლებში გამოყენებული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი -გასასვლელი ბარათების ნიმუში, მასწავლებელთა რეფლექსიები ჩატარებულ გაკვეთილებსა და განხორციელებულ პროექტებზე, სკოლის თვითშეფასების კითხვარში მითითებულია რომ ამ სასწავლო წელს იგეგმება სასკოლო პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების მხოლოდ იდეები, არ არის მატრიცები, სოლო ტაქსონომია, ასევე არ არის მტკიცებულებები პროექტებში მონაწილე მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ნამუშევრების სახით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ იმუშავებენ ერთობლივად ამ მიმართულებით. **ესთეტიკის კათედრის** წევრებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში, სასწავლო თემები საკითხები, რესურსები ასახავენ ცოდნის კონსტრუირების პროცესს წინარეგამოცდილების საფუძველზე. კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, პედაგოგებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები თუ როგორ განსაზღვრავენ წინარე გამოცდილებას, რა მეთოდებს იყენებენ მისი გააქტიურებისთვის- იქნება ეს გონებრივი იერიში, თუ ინტერაქტიური სწავლების სხვა ფორმები. აღნიშნეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყოველივე ეს, მოსწავლის პროვოცირებისთვის, მოტივაციის გაზრდისთვის. **სპორტის** კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები კონტექსტ მაგალითზე დაყრდნობით ითვალისწინებს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას და ეხმარება მოსწავლეს შეძენილი ცოდნის დამუშავებასა და გააზრებაში. განსახორციელებელი კომპლექსური დავალება, რომელიც ამ ეტაპზე კურიკულუმებში პირობის სახით გვაქვს წარმოდგენილი და ითვალისწინებს მოძრავ თამაშებს, ფესტივალს, პროექტის მომზადება, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას და შესწავლილი საკითხების წარმოჩენას გულისხმობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შესწავლილი დოკუმენტაციით, პედაგოგების ინტერვიუირებითა და შეფასების რუბრიკების ანალიზით გამოიკვეთა, რომ სწავლა - სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი კითხვები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე. კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები შეძლებენ სწავლის პროცესზე დაკვირვებასა და

რეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ. დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები, სადაც გამოიკვეთებოდა მეტაკოგნიცია. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მათ შემუშავებასა და გამოყენებას. **უცხოური ენების** კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეები ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად აწარმოონ საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი. თუმცა, კათედრას არ წარმოუდგენია სრულად გაწერილი კომპლექსური დავალების პირობები, ბარათები ან კითხვები, თვითშეფასების რუბრიკები რომლებშიც გამოიკვეთებოდა მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობა, მაგრამ, გასაუბრებისას, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გააზრებული აქვთ მათი მნიშვნელობა და ინტენსიურად მუშაობენ ამ მიმართულებით. **ესთეტიკის კათედრის** მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში, თვითშეფასების კითხვარში , კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა კითხვები და რუბრიკები, რომლებიც ინფორმაციის გადამუშავებას უწყობს ხელს და მოსწავლეებში მეტაკოგნიციის უნარების ავითარებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საბაზო საფეხურის (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) კურიკულუმებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებების იდები ნაწილობრივ, სწორედ კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებით წარიმართება სწავლა -სწავლების პროცესი სკოლაში, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი კეთდება სწავლის -სწავლაზე . როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს კომპლექსური დავალების განხორციელების დროს არჩევენ ისეთ აქტივობებს რომლებსაც მოსწავლე მიჰყავს, უბიძგებს, სწავლის სწავლისაკენ. ასევე კომპლექსური დავალების ბოლოს პედგოგები ცდილობენ მოწავლებმა ისაუბრონ, გაანალიზონ, სწავლის რა სტატეგიები გამოიყენეს, რა ისწავლეს კომპლელექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება დოკუმენტაციით წარმოდგენილ კურიკულუმებში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები დაეუფლებიან თეორიულ ცოდნას, შეეძლებათ მისი რეალიზება და რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური ბუნების დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის მოქმედებაში გადატანას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში საბაზო საფეხურზე (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები. შესაბამისად სასწავლო პროცესშიც მოხდება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა. კომპლექსური დავალებაზე მუშაობისას მოსწავლე იღებს ცოდნას შესასწავლი საკითხის მიმართ შემდეგ მან საკუთარი ცოდნა უნდა ასახოს

კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში მისთვის ნაცნობი, რეალურ ცხოვრებისეულ მაგალითთან მიახლოებულ კონტექსტში, გააკეთოს ნაშრომის პრეზენტაცია გასიტყვება მის მიერ განვლილი ნაბიჯების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. საბაზო საფეხურის **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) კურიკულუმებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებების იდეები. სამივე საგნის კურიკულუმი დაგეგმილია თემატურად, გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, ქვეცნებები და საკითხები, კომპლექსური დავალების იდეები, ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის იძლევა ცოდნათა ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას. სკოლაში ხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები პედაგოგების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებებით, და პროექტებით მოსწავლები შეძლებენ ცოდნის დაკავშირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ღონისძიებების განრიგი დანართი-5,
- დასწრების ფორმა, რეფლექსია, უკუკავშირი დანართი-6
- დაწყებითების ოქმი დანართი -9,
- პროექტი-„ჩემი ეკოლოგიური ნაკვალევი“-დანართი-8
- ნახატების გამოფენა დანართი-10,
- თვითშეფასების კითხვარი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა პუნქტი2,4,5,6,9,10
- ციფრული განვითარების გეგმა დამატებითი დოკუმენტაცია-კათედრა-ისტ

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში საბაზო საფეხურის **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია)გაწერილია სასწავლო თემები, საკითხთა კლასტერები, ცნებები. მაგ: მე-8 კლასი საგანი **მოქალაქეობა** თემა: **ადგილობრივი თვითმმართველობა.** ცნება: **საზოგადოება, მდგრადი განვითარება**.კომპლექსური დავალების იდეა: **საგაზეთო სტატია თვითმმართველობის მნიშვნელობის შესახებ**.პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ იციან რამდენად მნიშვნელოვნია რომ მოხდეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გათავისება მოსწავლებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის **ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის** - საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებების და მის მკვიდრი წარმოდგენების გათავისებით საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, თუცა ნაწილ კურიკულუმების ჩარჩოებში არის გარკვეული ტექნიკური ხარვეზები და უზუსტობები, კერძოდ

მე-7, მე-8 და მე-9 კლასების ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოებში, სავალდებულო თემის ფარგლებში არასრულყოფილად არის ასახული სამიზნე ცნება/ქვეცნების სვეტში საფეხურის ფარგლებში საგნობრივი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები, რომლთა საშუალებით სასკოლო კურიკულუმში განისაზღვრება კონკრეტული საკითხები.

საჭიროა გასწორდეს ფიზიკის მე-9 კლასის სავალდებულო თემების დასახელება. კერძოდ, I თემის დასახელებაში „მექანიკური მოძრაობის“ მაგივრად უნდა იყოს „თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა“, ხოლო II თემაში -„ნიუტონის კანონები იმპულსის“ ნაცვლად ჩაიწეროს „სტატიკა და დინამიკა“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საბაზო საფეხურის პედაგოგები სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. სკოლამ წარმოადგინა კათედრის წლიური ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ პედაგოგებმა სასწავლო პროცესში განახორციელეს სხვადასხვა აქტივობა მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად, წარმოდგენილია დამრიგებლების მიერ მოსწავლეებთან ერთად შემუშავებული ქცევის წესები, რომელიც ურთიერთობის უნარებს უყალიბებს მოსწავლეებს, ზრდის მათში პასუხისმგებლობის გრძნობას, სოციალურ ცნობიერებას. მე-9 კლასის კურიკულუმში გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც ითვალისწინებს წარმოსახვითი ინტერვიუს შექმნას პერსონაჟთან. ეს დავალება მოითხოვს მასწავლებლისგან მოსწავლეში ისეთი ცნობიერებისა და უნარების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: ურთიერთობა, თანამშრომლობა, ემპათია. მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებას სკოლაში ხელს უწყობს „მკითხველთა კლუბისა“ და „ინტელექტუალური კლუბის“ ფინქციონირება, რონდელის ფონდის მიერ ჩატარდა ლექცია თემაზე- „კიბერჰიგიენა და განათლების საშუალებები. ყველა ეს აქტივობა ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ იმავე თემების განხილვა გრძელდება საგაკვეთილო ფორმატშიც.გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების სხვადასხვა ფორმა, აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე განიხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. **ქართული ენის კათედრის** ანგარიშში განხილულია შეფასების კრიტერიუმები და აღნიშნულია ის ფაქტი, რომ გასულ წელს სასწავლო პროცესში „იყენებდნენ შეფასების მრავალმხრივ მეთოდებს“. კათედრის ოქმში განხილულია შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებს. მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიშში განხილულია მოსწავლეთა მრავალმხრივი შეფასების მნიშვნელობა და აუცილებლობა. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, გაანალიზებენ დიაგნოსტიკური წერის შედეგებს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის აირჩევენ სადიაგნოსტიკო წერის მეორე ინსტრუმენტს. მიუხედავად იმისა, რომ **სპორტის** კათედრის წევრები საუბრობენ სასწავლო პროცესში გამოყენებულ განმავითარებელ შეფასებაზე და შესაბამისი დოკუმენტის არსებობაზე, რომელიც მოსწავლის სასაწავლო პროცესში ჩართულობას ააქტიურებს და ეხმარება მათ წინსვლასა და განვითარებაში . დოკუმენტის მოწოდება ჩვენამდე შესაძლებელია ტექნიკური პრობლემის გამო ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე ვერ მოვახდენთ იმის გარკვევას, რამდენად იქნება შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. ამის გამო **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სპორტში, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. კომპლექსური დავალების პირობას საგნობრივი საკითხის დაანონსებისთანავე სკოლა აცნობს როგორც მოსწავლეს, ასევე, მის მშობელს. ასე, მაგალითად, საბაზო საფეხურზე სკოლამ აღნიშნა, რომ კომპლექსური დავალების დაანონსებისთანავე მოსწავლე და მშობელი ეცნობა შეფასების კრიტერიუმებს, რაც მის გამჭვირვალეობას, ობიექტურობას, სამართლიანობას უწყობს ხელს. სკოლის მიერ მოწოდებულ კათედრის წლიურ ანგარიშში იკითხება, რომ შეფასების კრიტერიუმები სკოლამ გახადა ყველასათვის ხელმისაწვდომი და თვალსაჩინო. ის გამოკრულია სასკოლო საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილებში. ამდენად, შეფასების სისტემა ცნობილი და გაზიარებულია მთელი სასკოლო საზოგადოებისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება, რომ „ შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფის საშუალებაცაა, რომ შეფასების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილება“. ეს საკითხები განიხილება მშობელთა კრებებზე, კათედრაზე, პედსაბჭოს სხდომებზე.

საბაზო საფეხურის პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა უფრო მეტ ჩართულობას შეფასების ინსტრუმენტების დახვეწასა და გამოყენებაში, რაც გაზრდის შეფასების სისტემის ხარისხს მეტი ობიექტურობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით. სკოლა აღნიშნავს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კათედრები მუშაობენ შეფასების რუბრიკების შექმნაზე. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას ითვალისწინებენ რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, ობიექტური, სანდო და გამჭვირვალე და მოხდეს მისი გამოყენება მიზნის შესაბამისად. სხვადასხვა საგნობრივ კათედრებზე ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება კონკრეტული თემის ფარგლებში მოსწავლეებმა გააზრებულად იციან როგორ და რაში ფასდებიან ასევე მასწავლებლები ახდენენ რუბრიკების შემუშავებას მოსწავლეთა თანამონაწილეობით, რათა მეტად ქონდეთ მათ ობიექტურობის განცდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა სპორტის მიმართულებით კათედრას შეფასების რუბრიკები არ წარმოუდგენია, შესაბამისად ვერ ვისაუბრებ მის გამჭვირვალობას, სანდოობას, ვალიდურობასა და ობიექტრობაზე. ამიტომ **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სპორტში, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას ამ ეტაპზე აქვს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზის, შემაჯამებელი დავალებების ანგარიშის ფორმების, კათედრის წლიური ანგარიშის გამოცდილება. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში იკითხება, რომ კათედრები გარკვეული პერიოდულობით იკრიბებიან და განიხილავენ შემაჯამებელ დავალებებს, აანალიზებენ შედეგებსა და შეფასების სისტემებს. კათედრის დებულებაში ცალსახად გაწერილია მასწავლებლის მოვალეობა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების შეფასების ინსტრუმენტების ანალიზისას. სკოლა სწავლობს თითოეული მოსწავლის მიღწევების დინამიკას შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. ვერიფიკაციის გარკვეული მექანიზმების დეტალები შეინიშნება სკოლაში არსებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში, სადაც განსაზღვრულია მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვების, უკუკავშირის მიცემის ფორმები. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას შესწევს უნარი, შეიმუშაოს და დანერგოს სასწავლო პროცესში შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი დოკუმენტი ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რაც ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. შეფასებისა და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრივი სტანდარტების შედეგები თუ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფუქნციურ-კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები. სკოლას არ აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

6.სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა პირადი საქმეების შენახვას გარკვეული წლების განმავლობაში, შესაბამისად, პირად საქმეში ინახება ინფორმაცია მოსწავლეთა წლიური შეფასების შესახებ. ასევე, სკოლა შეფასებასთან დაკავშირებით მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას აწარმოებს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ამ ეტაპზე სკოლას შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვის ვალდებულების დოკუმენტი გაწერილი არ აქვს. თუმცა, სკოლა აპირებს მომავალი წლიდან უზრუნველყოს შემაჯამებელი სამუშაოების, როგორც მტკიცებულებების შენახვა გაწეროს დოკუმენტის სახით . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- კათედრის წლიური ანგარიში;
- „მკითხველთა კლუბი“;
- „ინტელექტუალური კლუბი“
- ქცევის წესები;
- კლასის საათი;
- კათედრის სხდომის ოქმი 1;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიში;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ისეთი საკითხები რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მიმღებლობით და მხარდამჭერ გარემოს. სკოლის მიერ ეროვნულ მიზნებზე და ეროვნულ პროგრამებზე შემუშავებული სასკოლო სასწავლო პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკული ცოდნის შეძენაზე, კათედრებისა და ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული პროფესიული განვითარების ღონისძიებები, სასწავლო გარემო, ისეთი სასკოლო რესურსის ხელმისაწვდომობა, როგორიცაა ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული ინვენტარი იძლევა იმის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა გრძელვადიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრავს სკოლის მისიას, რომლის საფუძველზეც მოსწავლეებს სთავაზობს უსაფრთხო, მათ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე გათვლილ სასწავლო აქტივობებსა თუ გარემოს. სწავლის ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესების მიზნით განსაზღვრავს ამოცანებს და აპირებს გამჭოლი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობას, თითოეული მოსწავლის განვითარებას, სკოლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამისგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებასა და მოსწავლეთა შედეგების წახალისებას და მოსწავლეთათვის თვითრეალიზაციის საშუალების მიცემას. კათედრებზე შემუშავებულია კურიკულუმებში მოსწავლეზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობათა სფეროს, ასევე, მასწავლებლებთან საუბრისას გამოკვეთილი სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული მიდგომები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიდან იკვეთება სასკოლო საზოგადოებას შორის თანამშრომლობითი, გუნდური ჯანსაღი კომუნიკაცია. სკოლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით განსზღვრულია საგნობრივი კათედრების მუშაობა, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა კათედრების კოორდინირებულ მუშაობას მოიაზრებს, რომელიც წინარე გამოცდილებაზეა დაფუძნებული. სკოლაში ფუნქციონირებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, რომლის ფარგლებში, როგორც კათედრის წევრებს შორის, ასევე ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის გუნდის მიერ ხდება გაკვეთილზე დასწრება და ჯანსაღი უკუკავშირის გაცემა, რაც სასწავლო პროცესს უფრო ეფექტურს ხდის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა აცნობიერებს და აპირებს აქცენტი გააკეთოს სწავლა-სწავლების მაღალ სტანდარტებზე, იზრუნოს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე, მოსწავლეს შესთავაზოს ის უნარ-ჩვევები, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას არსებული ცოდნა, გამოცდილება გამოიყენონ მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. სკოლა ასევე აპირებს რომ სასკოლო სასწავლო გეგმა მოარგოს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს, შემუშავებული შეფასების სისტემა იყოს გამჭვირვალე, სანდო, ვალიდური და ობიექტური. სასკოლო სასწავლო გეგმა განვლილი წლის ანალიზის საფუძველზე შეიცვალოს ყოველწლიურად ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობითა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის სასკოლო საზოგადოებას შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვოს შესაბამისი რესურსით და მოსწავლეს შესთავაზოს საჭიროების შესაბამისი ადაპტირებული გარემო, ქრისტიან და მუსლიმ მოსწავლეებს ხელი შეუწყოს მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გრძელვადიანი სამოქმედო გეგმაა
- მშობელთა კრების ოქმი
- თვითმმართველობის ოქმი

- ხარისხის განვითარებისა პროფესიული მხადაჭერის ჯგუფის ბრძანება
- კათედრის ოქმები
- კურიკულუმები
- ურთიერთდასწრების გაკვეთილები
- ადაპტირებული გარემო

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ამ ეტაპზე სკოლას აქვს ზოგადი ხედვა სასკოლო კურიკულუმის დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებთან მიმართებაში, თუმცა, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში არ არის სრულყოფილად ასახული. ვიზიტის დროს საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე სკოლაში მონიტორინგი ხორციელდება კათედრისა და ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ. მიმდინარე სამუშაო პროცესებზე დაკვირვებით, წინასწარ შემუშავებული ინდიკატორების/კრიტერიუმების მიხედვით აფასებენ თითოეული პედაგოგის გაკვეთილებს, აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლის პერსონალმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ მომავალში მოხდება მონიტორინგის სისტემის გაწერა, დაგეგმილია დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ შევსებული თვითშეფასების დოკუმენტაციიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს პერსონალთან გასაუბრების, სადამრიგებლო პროგრამის და საბაზო საფეხურის კათედრების პორთფოლიოს გაცნობის შედეგად, ნათელი გახდა, ომ სკოლას აქვს გამოცდილება (მაგალითად, კათედრის სხდომებზე ერთად განიხილავენ ჩატარებული შემაჯამებლების შედეგებს, ერთობლივად სახავენ შედეგების გაუმჯობესების სტრატეგიების წარმოებას და სხვ.), ასევე ხედვა და მზაობა იმისთვის, რომ მომავალში დაიხვეწოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შეფასების მონიტორინგის სისტემა. წარმატებული შედეგების მისაღწევად სკოლა ეფექტურ გზად მიიჩნევს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და მათთან უკუკავშირს, რათა მაქსიმალურად მოხდეს მათი ინტერესებისა და საჭიროებების გამოვლენა და მაქსიმალური მხარდაჭერა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში და თანდართულ დოკუმენტებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალში გეგმავს და მზაობას აცხადებს იმისათვის, რომ გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რათა გააუმჯობესოს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი, შეიმუშაოს

მეთოდოლოგია და შესაბამისი ინსტრუმენტები დასახოს შეფასების და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....
.....

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე,რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება , რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს მასწავლებელს დაინახოს მოსწავლის განვითარების დინამიკა,ასევე მოსწავლეს, დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას, ეცნობიან მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ნერგავენ პრაქტიკაში. აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ და განვითარდნენ ამ მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ინტერვიუდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, შემაჯამებელი სამუშაოები, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი წლისთვის გაიწერება შეფასებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებენ:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის).
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს, სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად, მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს, ასევე, გარე მამოტივირებელ ფაქტორებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი სამუშაოს შეფასების რუბრიკა;

- შეფასების რუბრიკები -ზოგადი (პრეზენტაციის, დისკუსიის....)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს რა მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას მათზე, მიემართება დასახული მიზნების მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ დაგეგმვის პროცესში გაკეთებული მიგნებები, რეფლექსიის შედეგები, გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ.

გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

2. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ საბაზო საფეხურის პედაგოგებმა, თავიანთ კათედრებზე ერთობლივად იმუშავეს 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებზე. ახალ კურიკულუმზე მუშაობისას გაითვალისწინეს წინა წლის საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. ეს პროცესი მოიცავს დაგეგმვის, განახორციელების, მონიტორინგის და რევიზიის ფაზებს. საშუალო საფეხურის **უცხოური ენების** კათედრის წევრები სასკოლო კურიკულუმის შემუშავებას იწყებენ წინა წლის სასწავლო პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. ამ პროცესში ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად მიიჩნევა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების გათვალისწინება. შედეგების ანალიზი გათვალისწინებულია კურიკულუმის საბოლოო ვარიანტში, რომელიც დამტკიცდება 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით, ირკვევა, საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მის განვითრებაში აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექცია; გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, ყველაზე მეტად კი, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესები, მათი ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები. გასაუბრებისას პედაგოგებმა მოიყვანეს შესაბამისი მაგალითებიც. აღინიშნა, რომ მათ აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან და პედაგოგებთან და კურიკულუმის დაგეგმვისას ისინი ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს, მოსაზრებებს, გამოცდილებას და ნერგავენ საკუთარ პრაქტიკაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **უცხოური ენების** მასწავლებლებთან გასაუბრებისას და კათედრის ოქმებიდან ირკვევა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია კათედრის თითოეული წევრი და სკოლის ადმინისტრაცია, გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი და

ინტერესები. პედაგოგები ერთობლივად განიხილავენ კურიკულუმში შემავალ საკითხებს, ხდება ისეთი კომპლექსური დავალებების შერჩევა, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს და შეხედულებებს. კათედრას არ აქვს კომპლექსური დავალებების შექმნის და განხორციელების გამოცდილება, მაგრამ, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მათ გაითვალისწინეს მხარდამჭერი ქოუჩების რჩევები და მათ მიერ გაზიარებული მასალები და მასზე დაყრდნობით შეიმუშავეს საშუალო საფეხურის კურიკულუმები. **ესთეტიკის კათედრის** წევრთა ინფორმაციით, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მეთოდოლოგიაში აღწერილია სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმიებში, საბაზო საფეხურზე გასული სასწავლო წლის აკადემიური მიღწევების საფუძველზე განსაზღვრულია კლასის დონე, თემები და კომპლექსური დავალებების რაოდენობა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხები, ქვესაკითხები. მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს წარმოდგენილი მასალის სიზუსტეს. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. გასაუბრებისა და კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, სასკოლო სივრცეში განთავსებული საინფორმაციო დაფები, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

- საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმები;
- დანართი-1.1.1- სტრატეგიული გეგმა 2022-28 წწ;
- დანართი -1.2.1- პედსაბჭოს ოქმი N1 (სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული 2022-23 სასკოლო სასაწავლო გეგის დამტკიცება)
- დანართი- 1.2.1 - სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 (სასკოლო და სტრატეგ. გეგმების განხილვა და შეთანხმება)
- დანართი- 1.2.1- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმები

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საფეხურებრივი საგნის სტანდარტები და მოთხოვნათა რეალიზების გზები ნაჩვენებია მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან გამომდინარე კომპლექსური დავალებების სახით, სწავლის შედეგები ფორმულირებულია სამიზნე ცნებების სახით. გამომდინარე აქედან, შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას კათედრა ითვალისწინებს წინა წლების შედეგების ანალიზს, შემუშავებულ რეკომენდაციებს და პრობლემების გადაჭრის გზებს. აღინიშნა, რომ უპირატესობას ცხოვრებისეულ კონტექსტზე აგებულ კომპლექსურ დავალებებს ანიჭებენ, რადგან მოსწავლე ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მიიღებს, განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდება კურიკულუმების დახვეწა და ყველა საჭირო შესწორების შეტანა. **ესთეტიკის კათედრის** მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ნათლად

სჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული გზა. თემების ,საკითხების, რესურსები სახით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** კათედრის ინფორმაციით საშუალო საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით წლიური კურიკულუმები დაგეგმილია სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით, იკითხება თემები (საკითხები), იკითხება ძირითადი რესურსები, კონტექტს მაგალითები. ჩანს, რომ კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირდება სასწავლო პროცესი. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტული ტიპის აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის და ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქცენტს აკეთებენ საგნის სწავლების პროცესში მოსწავლისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესებასა და ჩამოყალიებებაზე, მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალით "გასართობი პარკის დაგეგმარება"-ს მაგალითზე (დანართი3-საშუალო), ასევე გადმოგზავნილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა საგანში, დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციით ასევე გამოიგზავნა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიც კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, სადაც ასევე იკითხება შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა მკვიდრ წარმოდგენებთან. აქედან გამომდინარე, გლობალური ფუნქციური სასწავლო უნარები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.**კომპიუტერული ტექნოლოგიების** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესში ჩანს დიფერენცირებული მიდგომები: გარემო(ადაპტირებული გარემო დანართი 73, დანართი 76), პროცესი, შინაარსი, პროდუქტი. წარმოდგენილი კურიკულუმით პედაგოგის მიერ შემუშავებული კომპლექსური დავალებების პირობით მოსწავლეებს ეძლევათ კომპლექსურ დავალებებში ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას სხვადასხვა არჩევანის შესაძლებლობა, ასევე საბოლოო პროდუქტიც შეუძლიათ წარმოადგინონ მრავალფეროვანი სახით: (ნახატი, თამაში, პრეზენტაცია, ანიმაცია, პროექტი, დიაგრამა და ა.შ.) მოწიდებული მასალიდან ჩანს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს დიფერენცირებული /ინკლუზიური მიდგომები, სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება , რომ გაწერილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისა და შეფასების მეთოდოლოგია. ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ სსსმ მოსწავლე ამჟამად არ ჰყავთ, თუმცა მათ აქვთ გამოცდილება და მზაობა მათთან მუშაობის. ედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ზოგადად ახდენენ დიფერენცირებას მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად და ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით ახდენენ მათთვის დავალებების შერჩევას. დოკუმენტაციაში იკითხება სწავლებაში მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **უცხოური ენებების** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად დგინდება,რომ საშუალო საფეხურზე, მოსწავლეთა შეფასებისთვის მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტს. შეფასება ემსახურება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა მიღწევების დონის დადგენას. უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ზოგადი ხასიათისაა და საჭიროებს დახვეწას. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასების კავშირი გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან მიმართებით და გამოთქვამენ მზაობას ამ მიმართულებით გააგრძელონ მუშაობა. **ესთეტიკის კათედრის** მიერ წარმოადგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მორგებულია კონკრეტულ საგნობრივ საკითხებთან. მათში მკაფიოა ცნება/ქვეცნებებთან მიმართება, რაც განაპირობებს მათ გამოყენებას, როგორც ვალიდური ინსტრუმენტისა, მოსწავლეთა მიღწევების დადგენის პროცესში. მოსწავლეთა თვითრეფლექსიის შედეგების ანალიზისთვის კათედრა იყენებს თვითშეფასების კითხვარებს, რომლების ასახავენ სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** პედაგოგთან ინფორმაციით, საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლა იცნობს მრავალფეროვან შეფასების ტიპებს და აქვს მზაობა შემდგომში იმუშაოს ამ მიმართულებით. შეფასება ემსახურება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მიღწევების შეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას შეფასების კომპონენტი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს, რამდენადაც დანართების (დანართი 3 -საშუალო საფეხური) სახით გადმოგზავნილია სხვადასხვა კათედრის, მათ შორის მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები , ასევე წარმოდგენილია საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალით "გასართობი პარკის დაგეგმარება"-ს მაგალითზე, შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმა (დანართი2, დანართი3, დანართი7-საშუალო საფეხური), გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა (დანართი 5) დამატებითი დოკუმენტაციით ასევე წარმოდგენილ იქნა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა საგნებში (მათ შორის კომპიუტერულ ტექნოლოგიებში). სკოლა იცნობს მრავალფეროვან შეფასების ტიპებს და აქვს მზაობა შემდგომში იმუშაოს ამ მიმართულებით. სამომავლოდ მნიშვნელოვანია პედაგოგთა მიერ წარმოდგენილი ზოგადი რუბრიკები დაზუსტდეს კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, რის მზაობაც აქვთ მასწავლებლებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საშუალო საფეხურზე (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასებას. შეფასებები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი განმსაღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საზოგადეობრივი მეცნიერებების კათედრას მიცა რჩევა შექმნან განმსაღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა

აღნიშნეს რომ 2023-2024 სასწავლო წლის მანძილზე შექმნიან შეფასების რუბრიკებს. ინტერვიუს დროს **სპორტის** მასწავლებლებმა ისაუბრეს საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოყენებულ როგორც განმავითარებელ განმსაზღვრელი შეფასებაზე, რომელიც ეხმარება მათ დაადგინონ მოსწავლის ცოდნა საკითხებთან მიმართებით, თუმცა კათედრას შესაბამისი დოკუმენტი, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმვითარებელი, შეფასების რუბრიკები არ წარმოუდგენია. ასევე არარის განსაზღვრული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით. შესაბამისად ვერ ვადგენთ გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით როგორ მოხდება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება. **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სპორტში, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ესთეტიკის კათედრის** ინტერვიუდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება კათედრას არ ჰქონია . შუალედური მიზნების რეალიზება ხდებოდა სახელმძღვანელოში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელების გზით. გაკვეთილების დაგეგმვისას ხდებოდა გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაც. ამ გამოცდილების საფუძველზე კათედრამ შეიმუშავა 2023-2024 სასწავლო წლის მე-10 კლასის კურიკულუმი,რომლებშიც ლიგიკურად ჩამოაყალიბა თემები, საკითხები, გრძელვადიანი მიზნები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პროექტულ სწავლებაში მნიშვნელოვანი იქნება კომპლექსური დავალების ტიპის აქტივობები, როგორც კვლევის ერთ-ერთი მეთოდი და საშუალება; **საზოგადოებრივი მეცნიერებების-** საშუალო საფეხურზე დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც ჩანს სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში.სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის კურიკულუმები, რომელშიც გაწერილი იყო კომპლექსური დავალებები. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით ასევე სკოლა აკეთებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, საგნის პედაგოგების წლიურ და სემესტრულ ანგარიშებს. ხოლო ანალიზის სააფუძველზე გამოკვეთენ სუსტ და ძლიერ მხარეებს, ამის შემდგომ კი იგეგმება მომავალი წლის კურიკულუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 11- შეფასების რუბრიკები (უცხოური ენები)

- დანართი 15- თვითშეფასების რუბრიკა
- საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმები
- კომპლექსური დავალება - მუსიკა;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ესთეტიკის კათედრის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კურიკულუმით დაგეგმილ სასწავლო პროცესში მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებების გააზრება უხდება სავალდებულო თემებზე დაყრდნობით, საკითხების საგნობრივ ცოდნასთან და ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებით. მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, საკლასო პროექტები, ღონისძიებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში, შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ასევე სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ციფრული განვითარების გეგმა, სადაც ჩანს სკოლის მიერ გაკეთებული აქცენტები ტექნოლოგიების ფართო გამოყენებაზე სასწავლო პროცესებში, ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა, რაც შესაბამისად ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. სკოლამ ასევე წარმოადგინა მე-4 კლასში განხორციელებული ინტეგრირებული პროექტი საგნებში: ქართული, ხელოვნება „ჩემი ეკოლოგიური ნაკვალევი“ (დანართი 8- საბაზისო), სადაც ჩანს, რომ აქტივობები ხორციელდება ტექნოლოგიების გამოყენებით (მაგ. პოსტერების და ბარათების შესაქმნელად ინფორმაციის მოძიება განხორციელდა ინტერნეტის დახმარებით) და აქტიურადაა ჩართული შემოქმედებით პროცესში. დოკუმენტაციაში **ტექნოლოგიების** კურიკულუმის ჩარჩოს არ ახლავს მატრიცები, შეფასების კრიტერიუმები, სოლო ტაქსონომია. თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ არის მზაობა, მიმდინარეობს მუშაობა და სასწავლო წლის დასაწყისისთვის ეს პრობლემა მოგვარდება. დამატებითი დოკუმენტაციით გამოგზავნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა დავალებისთვის ,,ავტო რბოლა“ – პროგრამა Scratch - ის გამოყენებით. როგორც კათედრასთან გასაუბრებამ აჩვენა, **უცხოური ენების** მასწავლებლებს მცირე გამოცდილება აქვთ კომპლექსურ დავალებებით სწავლების. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კათედრის წევრებს აქვთ მზაობა და ახალი სასწავლო წლიდან შეუდგებიან კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებას. შერჩეული კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში აქტიური შემოქმედებითი უნარების განვითარებას. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) კურიკულუმებითაც. წარმოდგენილი კურიკულუმები რომლებშიც ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები მოსწავლეს აძლებს საშუალებას ჩართული იყოს აქტიურ შემოქმედებით პროცეში. მაგ მე-10 კლასის საგან მოქალაქეობაში პედაგოგებს შერჩეული აქვთ შემდეგი კომპლექსური : **საგაზეთო სტატია გენდერული თანასწორობის შესახებ**. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი კურიკულუმები კომპლექსური დავალებებზეა დაფუძნებული, რომელთა პირობები შექმნილია ისე, რომ ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. დოკუმენტაციიდან ასევე იკითხება, რომ განხორციელდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემების მიხედვით ინტეგრირებული საგნობრივი პროექტი, რომლის რეფლექსია და შეფასების კრიტერიუმებიცაა წარმოდგენილი. ასევე მოცემულია ერთერთი გაკვეთილის ფარგლებში გამოყენებული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი -გასასვლელი ბარათების ნიმუში, მასწავლებელთა რეფლექსიები ჩატარებულ გაკვეთილებსა და

განხორციელებულ პროექტებზე, სკოლის თვითშეფასების კითხვარში მითითებულია რომ ამ სასწავლო წელს იგეგმება სასკოლო პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების მხოლოდ იდეები, არ არის მატრიცები, სოლო ტაქსონომია, ასევე არ არის მტკიცებულებები პროექტებში მონაწილე მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ნამუშევრების სახით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ იმუშავებენ ერთობლივად ამ მიმართულებით. **სპორტის** კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები კონტექსტ მაგალითზე დაყრდნობით ითვალისწინებს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას და ეხმარება მოსწავლეს შეძენილი ცოდნის დამუშავებასა და გააზრებაში. განსახორციელებელი კომპლექსური დავალება, რომელიც ამ ეტაპზე კურიკულუმებში პირობის სახით გვაქვს წარმოდგენილი და ითვალისწინებს მოძრავ თამაშებს, ფესტივალს, პროექტის მომზადება, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარეობს მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას და შესწავლილი საკითხების წარმოჩენას გულისხმობს. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს სასწავლო პროცესში შეძენილი ცოდნის მოძრავ თამაშებში გამოყენების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შესწავლილი დოკუმენტაციით, პედაგოგების ინტერვიუირებითა და შეფასების რუბრიკების ანალიზით გამოიკვეთა, რომ სწავლა -სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი კითხვები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე. კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები შეძლებენ სწავლის პროცესზე დაკვირვებასა და რეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ. დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები, სადაც გამოიკვეთებოდა მეტაკოგნიცია. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მათ შემუშავებასა და გამოყენებას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საშუალო საფეხურის (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) კურიკულუმებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებების იდები ნაწილობრივ, სწორედ კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებით წარიმართება სწავლა -სწავლების პროცესი სკოლაში, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი კეთდება სწავლის -სწავლაზე . როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს კომპლექსური დავალების განხორციელების დროს არჩევენ ისეთ აქტივობებს რომლებსაც მოსწავლე მიჰყავს, უბიძგებს, სწავლის სწავლისაკენ. ასევე კომპლექსური დავალების ბოლოს პედგოგები ცდილობენ მოწავლებმა ისაუბრონ, გაანალიზონ, სწავლის რა სტატეგიები გამოიყენეს, რა ისწავლეს კომპლელექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. **უცხოური ენების** კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეები ხელს შეუწყობს მოსწავლეებს თავად აწარმოონ საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი და წაახალისებენ მოსწავლის ცნობისმოყვარეობას. კათედრას არ წარმოუდგენია სრულად გაწერილი კომპლექსური დავალების პირობები, ბარათები ან კითხვები, თვითშეფასების რუბრიკები. თუმცა, გასაუბრებისას, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გააზრებული აქვთ მათი მნიშვნელობა და ინტენსიურად მუშაობენ ამ მიმართულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება დოკუმენტაციით წარმოდგენილ კურიკულუმებში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები დაეუფლებიან თეორიულ ცოდნას, შეეძლებათ მისი რეალიზება და რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური ბუნების დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის მოქმედებაში გადატანას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები. შესაბამისად სასწავლო პროცეშიც მოხდება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა. კომპლექსური დავალებაზე მუშაობისას მოსწავლე იღებს ცოდნას შესასწავლი საკითხის მიმართ შემდეგ მან საკუთარი ცოდნა უნდა ასახოს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში მისთვის ნაცნობი, რეალურ ცხოვრებისეულ მაგალითთან მიახლოებულ კონტექსტში, გააკეთოს ნაშრომის პრეზენტაცია გასიტყვება მის მიერ განვლილი ნაბიჯების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. საშუალო საფეხურის **საზოგადოებრივი მეცნიერებების** (მოქალაქეობა გეოგრაფია ისტორია) კურიკულუმებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებების იდეები. სამივე საგნის კურიკულუმი დაგეგმილია თემატურად, გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საკითხთა კლასტერები, კომპლექსური დავალების იდეები, ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის იძლევა ცოდნათა ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას. პედაგოგების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებებით, და პროექტებით მოსწავლები შეძლებენ ცოდნის დაკავშირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ღონისძიებების განრიგი დანართი-5,
- დასწრების ფორმა, რეფლექსია, უკუკავშირი დანართი-6
- დაწყებითების ოქმი დანართი -9,
- პროექტი-„ჩემი ეკოლოგიური ნაკვალევი“-დანართი-8
- ნახატების გამოფენა დანართი-10,
- თვითშეფასების კითხვარი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა პუნქტი2,4,5,6,9,10

- ციფრული განვითარების გეგმა დამატებითი დოკუმენტაცია-კათედრა-ისტ

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლის მიერ წარმოდგენილსაშულო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია სასწავლო თემები საკითხთა კლასტერები ცნებები .მაგ. საგანი **ისტორია.**მე-10 კლასი. თემა: **გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეები** ცნება:**დრო. საზოგადოება.** კომპლექსური დავალების იდეა: **მოგზაურის ჩანაწერები საქართველოში არაბთა ბატონობის შესახებ.** პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ იციან რამდენად მნიშვნელოვნია რომ მოხდეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გათავისება მოსწავლებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საშუალო საფეხურის პედაგოგები სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. სკოლამ წარმოადგინა კათედრის წლიური ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ პედაგოგებმა სასწავლო პროცესში განახორციელეს სხვადასხვა აქტივობა მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების

გასავითარებლად, წარმოდგენილია დამრიგებლების მიერ მოსწავლეებთან ერთად შემუშავებული ქცევის წესები, რომელიც ურთიერთობის უნარებს უყალიბებს მოსწავლეებს, ზრდის მათში პასუხისმგებლობის გრძნობას, სოციალურ ცნობიერებას. სკოლამ წარმოადგინა ინტეგრირებული გაკვეთილის რეფლექსია. გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა ინტერესები და ჯგუფებს დაევალათ კვლევის ჩატარება სამი საგნის მიმართულებით-ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია და სამოქალაქო განათლება. ინტეგრირებული გაკვეთილის თემა -ქალი და მამაკაცი. მოსწავლეებმა თავიანთ ინტერესებსა და შესაძლებლობებს მოარგეს და ჩაატარეს კვლევა ისტორიულ ჭრილში დანახულ ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე, ქართული ენისა და ლიტერატურის ჭრილში პერსონაჟების-ვარსქენისა და შუშანიკის მაგალითზე, ხოლო სამოქალაქო განათლების მიმართულებით- ქალისა და მამაკაცის უფლებრივ მდგომარეობაზე. მოსწავლეთა ფსიქოსოციალურ განვითარებას სკოლაში, ასევე, ხელს უწყობს „მკითხველთა კლუბისა“ და „ინტელექტუალური კლუბის“ ფუნქციონირება, რონდელის ფონდის მიერ ჩატარებული ლექცია თემაზე- „კიბერჰიგიენა და განათლების საშუალებები“. ყველა ეს აქტივობა ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ იმავე თემების განხილვა გრძელდება საგაკვეთილო ფორმატშიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე, შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების სხვადასხვა ფორმა, აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. ქართული ენის კათედრის ანგარიშში განხილულია შეფასების კრიტერიუმები და აღნიშნულია ის ფაქტი, რომ გასულ წელს სასწავლო პროცესში „იყენებდნენ შეფასების მრავალმხრივ მეთოდებს“. კათედრის ოქმში განხილულია შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებს. მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიშში განხილულია მოსწავლეთა მრავალმხრივი შეფასების მნიშვნელობა და აუცილებლობა. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სავალდებულო თემებთან მიმართებით, დააკვირდებიან მოსწავლეებს, გააანალიზებენ დიაგნოსტიკური წერის შედეგებს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის აირჩევენ სადიაგნოსტიკო წერის მეორე ინსტრუმენტს. მიუხედავად იმისა, რომ **სპორტის** კათედრის წევრები საუბრობენ სასწავლო

პროცესში გამოყენებულ განმავითარებელ შეფასებაზე და შესაბამისი დოკუმენტის არსებობაზე, რომელიც მოსწავლის სასაწავლო პროცესში ჩართულობას ააქტიურებს და ეხმარება მათ წინსვლასა და განვითარებაში . დოკუმენტის მოწოდება ჩვენამდე შესაძლებელია ტექნიკური პრობლემის გამო ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე ვერ მოვახდენთ იმის გარკვევას, რამდენად იქნება შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სპორტში, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. კომპლექსური დავალების პირობას საგნობრივი საკითხის დაანონსებისთანავე სკოლა აცნობს როგორც მოსწავლეს, ასევე, მის მშობელს და ამავდროულად ეცნობიან კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რაც მის გამჭვირვალეობას, ობიექტურობას, სამართლიანობას უწყობს ხელს. სკოლის მიერ მოწოდებულ კათედრის წლიურ ანგარიშში იკითხება, რომ შეფასების კრიტერიუმები სკოლამ გახადა ყველასათვის ხელმისაწვდომი და თვალსაჩინო. ის გამოკრულია სასკოლო საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილებში. ამდენად, შეფასების სისტემა ცნობილი და გაზიარებულია მთელი სასკოლო საზოგადოებისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება, რომ „ შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფის საშუალებაცაა, რომ შეფასების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილება“. ეს საკითხები განიხილება მშობელთა კრებებზე, კათედრაზე, პედსაბჭოს სხდომებზე. საშუალო საფეხურის პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა უფრო მეტ ჩართულობას შეფასების ინსტრუმენტების დახვეწასა და გამოყენებაში, რაც გაზრდის შეფასების სისტემის ხარისხს მეტი ობიექტურობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით. სკოლა აღნიშნავს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კათედრები მუშაობენ შეფასების რუბრიკების შექმნაზე. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას ითვალისწინებენ რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, ობიექტური, სანდო და გამჭვირვალე და მოხდეს მისი გამოყენება მიზნის შესაბამისად. სხვადასხვა საგნობრივ კათედრებზე ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება კონკრეტული თემის ფარგლებში მოსწავლეებმა გააზრებულად იციან როგორ და რაში ფასდებიან ასევე მასწავლებლები ახდენენ რუბრიკების შემუშავებას მოსწავლეთა თანამონაწილეობით, რათა მეტად ჰქონდეთ მათ ობიექტურობის განცდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა **სპორტის** მიმართულებით კათედრას შეფასების რუბრიკები არ წარმოუდგენია, შესაბამისად ვერ ვისაუბრებ მის გამჭვირვალობას, სანდოობას, ვალიდურობასა და ობიექტურობაზე. **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სპორტში, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას ამ ეტაპზე აქვს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზის, შემაჯამებელი დავალებების ანგარიშის ფორმების შექმნის, კათედრის წლიური ანგარიშის გამოცდილება. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში იკითხება, რომ კათედრები გარკვეული პერიოდულობით იკრიბებიან და

განიხილავენ შემაჯამებელ დავალებებს, აანალიზებენ შედეგებსა და შეფასების სისტემებს. კათედრის დებულებაში ცალსახად გაწერილია მასწავლებლის მოვალეობა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების შეფასების ინსტრუმენტების ანალიზისა. სკოლა სწავლობს თითოეული მოსწავლის მიღწევების დინამიკას შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. ვერიფიკაციის გარკვეული მექანიზმების დეტალები შეინიშნება სკოლაში არსებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში, სადაც ის განსაზღვრავს მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვების, უკუკავშირის მიცემის ფორმებს. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას შესწევს უნარი, შეიმუშაოს და დანერგოს სასწავლო პროცესში შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი დოკუმენტი ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რაც ლუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. შეფასებისა და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრივი სტანდარტების შედეგები თუ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფუქნციურ-კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები. სკოლას არ აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 29 დეკემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

6.სკოლა ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოსწავლეთა პირადი საქმეების შენახვას გარკვეული წლების განმავლობაში, შესაბამისად, პირად საქმეში ინახება ინფორმაცია მოსწავლეთა წლიური შეფასების შესახებ. ასევე, სკოლა შეფასებასთან დაკავშირებით მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას აწარმოებს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ამ ეტაპზე სკოლას შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვის ვალდებულების დოკუმენტი გაწერილი არ აქვს. თუმცა სკოლა აპირებს მომავალი წლიდან უზრუნველყოს შემაჯამებელი სამუშაოების, როგორც მტკიცებულებების შენახვა, გაწეროს დოკუმენტის სახით . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- კათედრის წლიური ანგარიში;
- „მკითხველთა კლუბი“;
- „ინტელექტუალური კლუბი“
- ინტეგრირებული გაკვეთილის რეფლექსია;
- კათედრის სხდომის ოქმი 1;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება საშუალო საფეხურის როგორც მასწავლებლებისთვის ასევე მოსწავლეებისთვის სკოლაში ქმნის მიმღებლობით და მხარდამჭერ გარემოს. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე. სკოლა მოსწავლისთვის პრიორიტეტად თვლის უსაფრთხო, წამახალისებელი და მათ ინტერესებზე მორგებულ სასწავლო გარემოს. კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები მოსწავლეთა პიროვნულ ზრდაზეა ორიენტირებული, ხოლო სკოლაში არსებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეებისთვის. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე ასევე სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, როგორიცაა გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი თუ მე-11 კლასის არჩევითი საგნების ოქმი, გვაძლევს ინფორმაციას მოსწავლეთა თავისუფალი

არჩევანის შესახებ, რაც საფუძველს ქმნის ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში საშუალო საფეხურზე შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია - გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით დასახულია ამოცანები მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს განაპირობებს, არჩევითი საგნების ოქმი, სადაც განსაზღვრულია მოსწავლეთა სრული თავისუფლება და დამოუკიდებელი აზრის დაფიქსირება, მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი, რომელიც მოსწავლეთა ინიციატივებს განიხილავს ამ კონკრეტულ სიტუაციაში კი საკლუბო მუშაობას სამი მიმართულებით: მკითხველთა, სპორტული და ინტელექტუალური კლუბი გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართება. საგნების მიხედვით შემუშავებულია კურიკულუმები, რომლებიც თავის მხრივ კომპლექსური დავალებების განხორციელებას მოიაზრებს, ასევე მასწავლებლების მიერ შეთავაზებული დიფერენცირებული აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზეა გათვლილი ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესსა და განვითარებაზე, ხოლო მოსწავლეებისთვის შეთავაზებული შემოქმედებითი თუ სპორტული ღონისძიებები მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს განაპირობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა სასწავლო პროცესის წარმართვისას პრიორიტეტად ურთიერთთანამშრომლობასა და კომუნიკაციას განსაზღვრავს. კათედრაზე შეხვედრებისას განიხილება სასწავლო პროცესში აღმოჩენილი მიღწევები თუ პრობლემები. კათედრის წევრების მიერ ხდება ანალიზი წამოჭრილი პრობლემებისა თუ მიღწევების შესახებ. სასწავლო პროცესი ეფუძნება გამოცდილების გაზიარებასა და კომუნიკაციას. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს გაკვეთილზე დასწრებას. ჯგუფის მიზანი და ამოცანაა სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, დაკვირვების შედეგად კოლეგებისათვის შესაბამისი ჯანსაღი უკუკავშირის მიცემა, რომელიც არა მარტო სწავლების ხარისხისთვის ზრუნვას განსაზღვრავს ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიული განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა სამოქმედო სასწავლო გეგმით აპირებს იმუშაოს სხვადასხვა მიმართულებით, იზრუნოს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე, მოსწავლეს შესთავაზოს და მიცეს ის უნარ-ჩვევების რასაც გამოიყენებენ მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. სკოლა ასევე აპირებს რომ სასკოლო სასწავლო გეგმა მოარგოს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს, შესთავაზოს მათ ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც იქნება გამჭვირვალე, სანდო, ვალიდური და ობიექტური. სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის სასკოლო საზოგადოებას შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვოს შესაბამისი რესურსით და მოსწავლეს შესთავაზოს საჭიროების შესაბამისი ადაპტირებული გარემო, ხელი შეუწყოს ქრისტიან და მუსლიმ მოსწავლეების მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა
- მშობელთა კრების ოქმი
- თვითმმართველობის ოქმი
- არჩევითი საგნების ოქმი
- ხარისხის განვითარებისა პროფესიული მხადაჭერის ჯგუფის ბრძანება
- კათედრის ოქმები
- კურიკულუმები
- ურთიერთდასწრების გაკვეთილები
- ადაპტირებული გარემო

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ამ ეტაპზე სკოლას აქვს ზოგადი ხედვა სასკოლო კურიკულუმის დანერგვის, მონიტორინგის და შეფასების პროცესებთან მიმართებაში, თუმცა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში არ არის სრულყოფილად ასახული. ვიზიტის დროს სასუალო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე სკოლაში მონიტორინგი ხორციელდება კათედრისა და ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ. მიმდინარე სამუშაო პროცესებზე დაკვირვებით, წინასწარ შემუშავებული ინდიკატორების/კრიტერიუმების მიხედვით აფასებენ თითოეული პედაგოგის გაკვეთილებს, აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლის პერსონალმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ მომავალში მოხდება მონიტორინგის სისტემის გაწერა, დაგეგმილია დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ შევსებული თვითშეფასების დოკუმენტაციიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს პერსონალთან გასაუბრების, სადამრიგებლო პროგრამის და საშუალო საფეხურის კათედრების პორთფოლიოს გაცნობის შედეგად, ნათელი გახდა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება (მაგალითად, კათედრის სხდომებზე ერთად განიხილავენ ჩატარებული შემაჯამებლების შედეგებს, ერთობლივად სახავენ შედეგების გაუმჯობესების სტრატეგიების წარმოებას და სხვ.), ასევე ხედვა და მზაობა იმისთვის, რომ მომავალში დაიხვეწოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შეფასების მონიტორინგის სისტემა. წარმატებული შედეგების მისაღწევად სკოლა ეფექტურ გზად მიიჩნევს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და მათთან უკუკავშირს, რათა მაქსიმალურად მოხდეს მათი ინტერესებისა და საჭიროებების გამოვლენა და მაქსიმალური მხარდაჭერა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში და თანდართულ დოკუმენტებში და აგრეთვე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალში გეგმავს და მზაობას აცხადებს იმისათვის, რომ გადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები, იმისათვის, რომ გააუმჯობესოს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი, შეიმუშაოს მეთოდოლოგია და შესაბამისი ინსტრუმენტები დასახოს შეფასების და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....
.....

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო ,ისე სასკოლო დონეზე,რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება , რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ ,რაც თავის მხრივ უადვილებს მასწავლებელს დაინახოს მოსწავლის განვითარების დინამიკა,ასვე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას, ეცნობიან მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ნერგავენ პრაქტიკაში. აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ და განვითარდნენ ამ მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ინტერვიუდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, შემაჯამებელი სამუშაოები, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები, შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი წლისთვის გაიწერება შეფასებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებენ:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის).

- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს, სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს, ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი სამუშაოს შეფასების რუბრიკა;
- შეფასების რუბრიკები -ზოგადი (პრეზენტაციის, დისკუსიის....)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს რა მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას მათზე, მიემართება დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ დაგეგმვის პროცესში გაკეთებული მიგნებები, რეფლექსიის შედეგები, გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ პედაგოგებმა ერთობლივად იმუშავეს 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებზე. ახალ კურიკულუმზე მუშაობისას გაითვალისწინეს წინა წელს მიღებული გამოცდილება, მოსწავლეთა ინტერესები, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები. პედაგოგებს გააზრებული აქვთ რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: The picture can't be displayed. /ინა ბიწაძე/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

/ტარიელ სივსივაძე/

/ინგა ლომაძე/

/მინდია მაცაბერიძე/

/ია გაგნიძე/

/ლამარა დარახველიძე/

/ელიზა ბაგალიშვილი/

/თამარ ოძელაშვილი/

/მანანა შეროზია/

/ლია ნეფარიძე/

/ნინო ვაშალომიძე/

30.10.2023 წ
თარიღი